საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

F 171
1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

## 3-4

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მარტი—აპრილი

თბილისი 1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

# დადგენილება

1972 წელი 18 იანვარი

### 1971-1972 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებების შედეგების შესახებ

F 3659

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ 1971—1972 სასწავლო წლის წარმატებით მოსამზადებლად რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს, სკოლებს, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებს შორის დროულად, გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გასატარებლად და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის. სკოლებში დაბრუნებულ იქნა 7-15 წლის ასაკის 1250 ბავშვი, რომლებიც წინა წლებში ჩამოშორდნენ სწავლას, ხოლო რვაკლასდამთავრებულთა 83,5% სწავლას აგრძელებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX კლასებში.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელებმა დიდი დახმარება გაუწიეს სკოლებს მატერიალური ბაზის განმტკიცებაში. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, წარმოება-დაწესებულებებმა თავიანთი სახსრებით სკოლების მშენებლობაზე, [illegible] სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენებასა და [illegible] ლაბორატორიების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, [illegible] და

სხვა თვალსაჩინო მასალებით შევსებაზე დახარჯეს 4.384.0 მილიონი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. თბილისმა, ზუგდიდის, ქარელის, ხელვაჩაურის, გორის, მახარაძისა და გალის რაიონებმა.

აღნიშნულ ქალაქსა და რაიონებში შესრულდა სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები. გარდა ამისა, ბევრმა ორგანიზაციამ სკოლების კეთილმოწყობაზე დახარჯა ქ. თბილისში 1.434. 673 მანეთი, ვალდებულება შესრულებული იქნა 199.500 მანეთის გადაჭარბებით, ზუგდიდის რაიონში — 335.550 მანეთი, ქარელის რაიონში — 336.7 ათასი მანეთი, ხელვაჩაურის რაიონში — 500 ათასი მანეთი და ასე შემდეგ.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მოემზადნენ ქ. ქუთაისის, გეგეჭკორის, დუშეთის და წყალტუბოს რაიონები.

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენენ:

1. 1971—1972 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები გადაეცეთ ზუგდიდისა და ქარელის რაიონებს, ხოლო დარჩეს ქ. თბილისს.

ზუგდიდისა და ქარელის რაიონებს, ქ. თბილისს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, განათლების სამინისტროს ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოთ 1500—1500 მანეთი თვითოეულს, სასკოლო ინვენტარის და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობის შესაძენად.

2. 1971—1972 სასწავლო წლისათვის სკოლების და სხვა სასწავლო დაწესებულებების წარმატებით მომზადებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები გადაეცათ ხელვაჩაურის, გორის, მახარაძისა და გალის რაიონებს.

ხელვაჩაურის, გორის, მახარაძის და გალის რაიონებს, რომლებმაც გამოიჩინეს თავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოთ 1000—1000 მანეთი თვითოეულს, სასწავლო ინვენტარისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობის შესაძენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 1971—1972 სასწავლო წლისათვის სკოლების და სხვა საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქების სიგელით (სიის მიხედვით).

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული, საქალაქო და ადგილობრივ კომიტეტის თავმჯდომარეებს:

ა) ამთავითვე გაშალონ რაიონებსა და ქალაქებს, სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებს შორის სოციალისტური შეჯიბრება ახალი 1972—1973 სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადებისათვის;

ბ) 1972 წლის 15 სექტემბრამდე შეაჯამონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებთან ერთად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 20 იანვრის ბრძანება № 24

### საქართველოს სსრ სახალხო განათლების დაწესებულებებში სახელმწიფო ფინანსიური დისციპლინის უხეში დარღვევების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა და განათლების სამინისტროს საკონტროლო სარევიზიო ორგანოების მიერ ჩატარებული რევიზიებითა და შემოწმებებით გამოვლინებულია რიგი რაიონების განათლების ორგანოების დაწესებულებებში სერიოზული დარღვევები ფულადი სახსრების ხარჯვის საქმეში: დამტკიცებულ გეგმაზე ზევით მუშაკთა შენახვა, არასწორი ტარიფიკაცია და ზოგიერთ მასწავლებელზე და სხვა მუშაკზე ხელფასის განაკვეთების უკანონოდ გადიდება, ხელფასის გაცემა შემთავსებლებზე იმ დროს, როცა ისინი არ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, კაპიტალურ რემონტზე და ინვენტარ-მოწყობილობაზე გამოყოფილი თანხების არასწორი გამოყენება.

ზოგიერთმა განათლების განყოფილებამ, ნაცვლად იმისა, რომ მიეღო ზომები მცირეკომპლექტიანი სკოლების გამსხვილებისათვის და კლასების დატვირთვის გადიდებისათვის, გახსნა გეგმის ზევით ფინანსიური კლასები, რითაც დაუშვა ხელფასებისათვის გათვალისწინებული თანხების გადახარჯვა.

განათლების განყოფილებების მიერ შესუსტებულია კონტროლი სკოლა-ინტერნატებში მცხოვრებ ბავშვთა შენახვისათვის დაწესებული გადასახადის სრულად და დროულად ბიუჯეტში შეტანაზე და სხვ.

ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების მიერ 1969—1970 სასწავლო წელს გახსნილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გეგმის ზევით 20 მცირერიცხოვანი კლასი და საბავშვო ბაღებში 9 ჯგუფი, აყვანილი იყო 34 მუშაკი, რომელთა შენახვაზე გადახარჯულია 43.7 ათ. მანეთი. ზესტაფონის რაიონში გახსნილი იყო სკოლებში გეგმის ზევით 17 ფინანსიური კლასი და საბავშვო ბაღებში—17 ჯგუფი და 49 მუშაკზე გაიცა 36.0 ათ. მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე მიზეზით დაშვებულია ხელფასის გადახარჯვა ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილების მიერ 42,3 ათ. მანეთის ოდენობით, თერჯოლის რაიონში — 5.1 ათ. მან., ჩოხატაურის რაიონში 4.1 ათ. მან., ორჯონიკიძის რაიონში — 1,1 ათ. მან.

მასწავლებელთა ტარიფიკაციაში დაშვებული დარღვევების შედეგად ზედმეტადაა გაცემული მესტიის რაიონის განათლების განყოფილების მიერ — 832 მან., ჩოხატაურის — 406 მან., წყალტუბოს — 843 მან., ყაზბეგის — 767 მან., მცხეთის — 210 მან. და ა. შ.

რიგი რაიონების განათლების განყოფილებებში დაშავებულია ფინანსიური დარღვევები, მაგ. წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილებამ სკოლების რემონტის ჩატარების დროს დაუშვა 7.3 ათ. მან. ზედმეტობა, ხობის რაიონმა გადახარჯა ზღვრული ადმინისტრაციული სამეურნეო ხარჯები — 2,5 მან., ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილებას უკანონოდ აქვს დახარჯული 1685 მან. საბავშვო ბაღებში ბავშვთა დაბადების დღის აღსანიშნავად. იქვე არასწორადაა ჩამოწერილი კვების პროდუქტების ღირებულება 1928 მან. მესტიის რაიონის განათლების განყოფილებამ უსაფუძვლოდ გადაურიცხა ადგილბრივ სოფლის მაღაზიას 520 მან. და დაუშვა სკოლა-ინტერნატში მცხოვრებ აღსაზრდელთა კვების გადასახადის დავალიანება 1129. მან., მათ შორის სკოლა-ინტერნატიდან გასულ აღსაზრდელებზე — 1085 მან.

წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებაში ადგილი აქვს ლიმიტზე ზევით ნაღდ ანგარიშზე საქონლის შეძენას და კერძო პირებიდან მანქანების დაქირავებას.

მიუხედავად არაერთი მითითებისა, ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების გამგე უშვებს უკანონო შეთავსებებს. მაგ., წყალტუბოს № 1 საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი ა. ფულავა, რომელსაც ორ სკოლაში 22 საათი დატვირთვა აქვს, შეთავსებით არის გაფორმებული დურგლად, რისთვისაც მას მიღებული აქვს 1. 160 მანეთი , მცხეთის № 1 საშუალო სკოლაში დირექტორის მიერ დამლაგებლად გაფორმებულია მიმინაშვილი, მასზე გაცემულია 883 მანეთი, იმ დროს, როდესაც ფაქტიურად ამ თანამდებობაზე არ უმუშავია.

ასეთივე დარღვევას ადგილი აქვს წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილებაში, სადაც რუსული სკოლის სამნეო ნაწილის გამგე გაფორმებული იყო სპორტსკოლის საქმის მწარმოებლად, სინამდვილეში ის ამ თანამდებობას არ ასრულებდა, მიღებული კი აქვს

155 მანეთი. ამავე რაიონის ქართული სკოლის ზეინკლად გაფორმებული იყო შეთავსებით საბჭოთა მეურნეობის ზეინკალი მოქ. ჯიბლა-შვილი, რომელიც ფაქტიურად ამ თანამდებობაზე არ მუშაობ... ლო მიღებული აქვს ხელფასი 400 მან.

...ბიბლიოთეკა

ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების დაწესებულებებში გამოვლინებულია უკანონო შეთავსების 12 შემთხვევა, მესტიის რაიონის განათლების განყოფილების მიერ უკანონო შემთავსებლებზე გაცემულია 1910 მანეთი.

სახალხო განათლებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვაზე მკაცრი პასუხისმგებლობის დამყარებისა და უყაირათო ხარჯვის, ფინანსიური დისციპლინის დამრღვევების ლიკვიდაციისათვის

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების (დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო) და საღამოს (ცვლიანი) სკოლების ქსელის მოწესრიგებისათვის, განახორციელონ ტერიტორიულად ახლომდებარე სკოლების და პარალელური კლასების გაერთიანება. კლასების დაკომპლექტება ხდებოდეს მხოლოდ დაწესებული ნორმების მიხედვით.

ბ) შეამოწმონ სკოლებში და სხვა დაწესებულებებში მომუშავეთა ტარიფიკაციის სისწორე და გადამჭრელი ზომები მიიღონ იმისათვის, რომ სატარიფიკაციო სიები ზუსტად შეესაბამებოდეს მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვას და ხელფასის ანაზღაურების ფაქტიურ მდგომარეობას.

გ) შეამოწმონ და აღკვეთონ უკანონო შეთავსებები, მკაცრად დაიცვან ზემდგომი ორგანოების დადგენილებები სამსახურებრივ შემთავსებლობის შეზღუდვის თაობაზე.

დ) სკოლებისა და სხვა დაწესებულებების რემონტის ჩატარების დროს არ დაუშვან მომავალში ფინანსიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევა, სახელმწიფო სახსრების უყაირათოდ ხარჯვა და ზედმეტობა.

ე) აიკრძალოს ძვირადღირებული მოწყობილობა-ინვენტარის, პლაკატების, სურათებისა და იმ საგნების შეძენა, რაც არ არის აუ-

ცილებლობით გამოწვეული. დაწესდეს მკაცრი კონტროლი ამა თუ იმ ღონისძიებისათვის თანხების ეფექტურად გამოყენებაზე.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა ბიუჯეტების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასკოლო ქსელის განლაგებას, მცირეკომპლექტიანი სკოლების გაერთიანებასა და კლასების დატვირთვის გადიდებას.

3. მომარაგებისა და დამხმარე მეურნეობათა სამმართველოს (ამხ. ს. არველაძე) და თვალსაჩინო ხელსაწყოთა მაღაზიას (ამხ. ფალავანდიშვილი) აეკრძალოთ ძვირადღირებული ინვენტარ-მოწყობილობის, პლაკატების, სურათებისა და სხვ. შემოზიდვა.

4. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილებამ (ამხ. ვ. მაქაცარია) რევიზიების ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა სატარიფიკაციო სიების სწორად წარმოებას, შემთავსებლობის კანონიერებას.

5. გაფრთხილებულ იქნენ დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა ფინანსიური დისციპლინის ყოველგვარი დარღვევისა და სახალხო განათლების სახელმწიფო ბიუჯეტით ასიგნებული სახსრების უყაირათოდ გამოყენებისათვის.

6. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციების კრებულის მორიგ ნომერში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი — თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ცირკულარული წერილი № 1/69

**1972 წელი 25 იანვარი**

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს

პროფკავშირის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებს

### მოსწავლეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების დროს მომხდარი სასიკვდილო უბედური შემთხვევების შესახებ

სსრკ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1971 წლის 20 სექტემბრის № 07(4)67-მ ცირკულარულ წერილში ნათქვამია, რომ 1971 წლის 24 აპრილს ტიუმენის ოლქის, იალუტოროვსკის რაიონის სოფელ სტარიკავდიკის რვაწლიანი საშუალო სკოლის მე-3 — მე-8 კლასის მოსწავლეები, სკოლისა და საბჭოთა მეურნეობა „პრიოზიორნის“ ხელმძღვანელობამ დაასაქმა ბოსტნეულის დარგვასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე. ბოსტნეულის მოსარწყავად წყალს ეზიდებოდნენ ბენზინის საზიდი მანქანებით.

მანქანის მიერ წყლის ერთ-ერთი მორიგი გადაზიდვის დროს, მე-3 კლასის მოსწავლე იურკოვა ვერა შეეცადა შემხტარიყო მოძრაობაში მყოფი მანქანის კაბინის მარჯვენა საფეხურზე, მან ეს შეძლო, ფეხი აუცდა საფეხურზე, დაეცა და მოყვა მანქანის უკანა თვლის ქვეშ, რის შედეგადაც მიიღო სასიკვდილო ტრავმა.

მომხდარი უბედური შემთხვევის მიზეზი, ნათქვამია წერილში, არის სკოლის დირექტორის მ. ა. სმოროდკინას მიერ 1959 წლის № 292-59 მოქმედი საინსტრუქციო მითითების — „სოფლის მეურნეობის სამუშაოებში მოსწავლეთა მონაწილეობის კონტროლზე ზაფხულის არდადეგების პერიოდში“, უხეში დარღვევის შედეგი.

მოცემული ინსტრუქცია კრძალავს მე-3 — მე-5 კლასის მოსწავლეთა შრომის გამოყენებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაკვეთებზე. III—V კლასის მოსწავლეთა საზოგადოებრივი სასარგებლო შრომის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სასკოლო ნაკვეთებზე.

სკოლის დირექტორმა არ გამოყო და არ დანიშნა პასუხისმგებელი პირი პედკოლექტივიდან, რომელსაც დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებზე ინსტრუქტაჟის ჩატარების ორგანიზაცია. ავტომანქანა, რომელიც გამოყოფილი იყო მოსწავლეთა გადასაყვანად, არ იყო მოწყობილი ამ მიზნისათვის.

ბავშვის დაღუპვაში დამნაშავენი — სკოლის დირექტორი სმოროდკინა მ. ა. და საბჭოთა მეურნეობა „პრიოზიორნის" მთ. აგრონომი ი. თ. ივანოვი დაისაჯნენ სისხლის სამართლის წესით.

ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 1970 წლის ოქტომბრის თვეში ლატვიის სსრ, სუნტაჟის საშუალო სკოლაში, როდესაც უმეთვალყურეობის შედეგად, ბოსტნეულის გადაზიდვის დროს დაიღუპა მეცხრე კლასის მოსწავლე მარანს იანისი, რომელიც მოჰყვა ტრაქტორის ბორბლის ქვეშ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი წინადადებას იძლევიან:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა და პროფესიული კავშირების კომიტეტებმა ადგილობრივ სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად:

ა) ყოველწლიურად (ზაფხულის არდადეგების პერიოდში) პერიოდულად შეამოწმონ სოფლად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაკვეთებზე მომუშავე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომის ორგანიზაციის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარიული პირობების მდგომარეობა.

შემოწმების შედეგები განიხილონ სამინისტროების კოლეგიებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა საბჭოების სხდომებზე ადგილობრივი პროფესიული კავშირებისა და სანიტარული ზედამხედველობის ორგანოების წარმომადგენლების თანდასწრებით, გა-

ატარონ შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარიული პირობების გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებანი, რაც განაპირობებს ტრავმატულ შემთხვევათა წარმომშობი მიზეზების ლიკვიდაციას.

ზ) ნორმატიული დოკუმენტები, რომელიც წერილს თან ერთვის, დაიყვანონ თითოეულ სკოლამდე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
**ი. ბეროზაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი **გ. ვარდოსანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინსტრუქციო-მეთოდური მითითებანი ქალაქის სკოლების მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ორგანიზაციისა და ჩატარების სანიტარიული კონტროლის შესახებ

1. მოსწავლეთა გაყვანა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარების ადგილზე უნდა ხორციელდებოდეს სანიტარიული ორგანოების ნებართვით. მოსწავლეთა შრომისა და ყოფაცხოვრების ორგანიზაციისათვის არანორმალური პირობების შემთხვევაში, აგრეთვე არასასურველი ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლებისას თანხმობა მოსწავლეთა გაყვანაზე არ უნდა ეძლეოდეს.

2. სათავსო, რომელიც საცხოვრებლად ეძლევათ მოსწავლეებს უნდა იყოს მშრალი, ნათელი, ფანჯრები თავისუფლად იღებოდეს.

3. რეკომენდებულია მოსწავლეების მოთავსება სკოლის შენობებში. დასაშვებია მოსწავლეების მოთავსება კარგად მოწყობილ კარვებში (ხის იატაკის, ორმაგი კედლების, სადრენაჟო არხების და ა. შ. არსებობა).

4. დაუშვებელია მოსწავლეთა მოთავსება კოლმეურნეთა სახლებში მათი ოჯახის წევრებთან ერთად.

5. ყოველ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური ლოგინი, კარვებში მოსწავლეების მოთავსებისას სავალდებულოა ხის სადგარების მოწყობა; იატაკზე ძილი დაუშვებელია.

6. მუშაობის ხანგრძლივობა VI—VII კლასების მოსწავლეებისათვის უნდა შეადგენდეს 3 საათს, VIII კლასებისათვის — 4 საათს, ხოლო IX—X კლასებისათვის — 6 საათს დღეში.

7. ყოველი 50—60 წუთის მუშაობის შემდეგ უნდა ეწყობოდეს 10—15 წუთიანი შესვენებები.

8. გადახურების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია მუშაობა ჩატარდეს ორ წყებად, იმვარაუდით, რომ იგი მიმდინარეობდეს მცირე ინსოლაციის საათებში, კერძოდ, 2 საათი — დილით და 2 საათი — საღამოს (მუშაობის მეორე ნახევარი დაიწყოს არა უგვიანეს 16 საათისა). მუშაობა ღამის საათებში დაუშვებელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. მოსწავლეები არ დაიშვებიან შემდეგი სახის სამუშაოთა შეს-რულებაზე:

ა) სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე;

ბ) შხამქიმიკატების გამოყენებაზე;

გ) ზრდასრული ცხოველების მოვლაზე;

დ) ცხოველთა მატყლის მშრალი წესით წმენდაზე;

უნდა ვერიდოთ მოსწავლეთა შრომის გამოყენებას მოუხერხებელ პოზაში ყოფნასთან დაკავშირებულ ერთფეროვან სამუშაოებზე.

10. ხელსაწყო-იარაღები, რომლებიც იხმარება მოსწავლეების მი-ერ, თავისი ზომებითა და წონით უნდა შეესაბამებოდეს მოზარდთა შესაძლებლობებს და იყვნენ გამართულ მდგომარეობაში.

11. სამუშაო ადგილიდან მოსწავლეთა საცხოვრებლის 3 კმ და მეტი მანძილით დაშორების შემთხვევაში, აუცილებელია უზრუნველ-ვყოთ მოსწავლეთა გადაყვანა მუშაობის ადგილზე და უკან, უსაფ-რთხოების ტექნიკის ყველა მოთხოვნების დაცვით.

12. ტანსაცმელმა მოსწავლეები უნდა დაიცვას გადახურებისა და გადაჭარბებული ინსოლაციისაგან, დაჭუჭყიანებისა და დამტვერია-ნებისაგან.

13. ინტენსიური ინსოლაციის პირობებში მუშაობის დროს მოს-წავლეთა მიერ თავსაფრის ტარება სავალდებულოა.

14. დაჭუჭყიანებასა და ცხოველების მოვლასთან დაკავშირებუ-ლი სამუშაოების შესრულების დროს მოსწავლეები უნდა მომარაგ-დნენ სპეცტანსაცმლით — წინსაფრების, ხელთათმანებისა და რეზი-ნის ჩექმების სახით.

15. მინდორში მუშაობის დროს მზიან დღეებში სასურველია სა-მუშაო ადგილთან ახლოს მოეწყოს საფარები (ტენტები და კარვები), მოსწავლეთა ხანმოკლე შესვენების დროს მათი გადაჭარბებული ინ-სოლაციისაგან დაცვის მიზნით. მინდორში მუშაობის პროცესში მოს-წავლეები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ კეთილხარისხოვანი სასმელი წყლით.

16. დღის რეჟიმში აუცილებელი ყურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლეთა მაღალხარისხოვანი და შესაფერისი კვების სწორ ორ-განიზაციას.

დღიურმა რაციონმა მოსწავლეთათვის ახალგაზრდულ ბანაკში უნდა უზრუნველყოს არა ნაკლები 3500 კალორიისა.

მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ოთხჯერადი კვება. სასურველია, ყოველდღიურად რაციონში გავითვალისწინოთ 0,5 ლიტრი რძე თი-

თოეულ მოსწავლეზე, ახალი ხორცი და ბოსტნეული. დღის რეჟიმ[illegible] საკვების მიღების მიხედვით, საჭიროა განაწილდეს შემდეგნაირად: საუზმე — 25%, სადილი — 40%, მეორე საუზმე — 10% [illegible]ხარი 20-25% საერთო კალორიულობის.

17. საჭმლის მოსამზადებლად გამოიყოფა სპეციალური პირი, რომელიც ფლობს აუცილებელ ტექნიკურ და სანიტარიულ ცოდნასა და ჩვევებს. მომსახურე პერსონალმა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული კერძების მომზადებასთან, საჭიროა გაიაროს სამედიცინო გასინჯვა, გამოკვლევა ბაცილის მატარებელზე და შეასრულოს პირადი ჰიგიენის ყველა წესები. სამზარეულოსა და სადილის ჭურჭელი აუცილებელია გულდასმით გაირეცხოს და დეზინფექცია გაუკეთდეს მდუღარე წყლით. გარეცხვის შემდეგ ჭურჭელი არ იწმინდება, არამედ ეწყობა ცხავისებრ თაროებზე, გასაშრობად. ჭურჭელი შენახვისას უნდა დავიცვათ გაჭუჭყიანებისაგან და ბუზებისაგან.

იმ შემთხვევაში, როდესაც კერძების მომზადება დაეკისრება მოსწავლეებს, მათ უნდა გაიარონ სავალდებულო სამედიცინო შემოწმება და სწავლება სანიტარულ მინიმუმზე. მოსწავლეთა დაშვება კერძების მომზადებაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც წესი, ხდება მორიგეობის სახით.

18. ტურიზმი (ექსკურსიები), მოძრავი თამაშობები, ტანვარჯიში, სპორტული გართობანი მოითხოვს ბუნების ფაქტორების გამოყენების აუცილებლობას.

ითვალისწინებენ რა ბავშვთა ორგანიზმზე კეთილისმყოფელ გავლენას გამოწვეულს გამაკაჟებელი პროცედურების რაციონალური მიღებით, ბანაკში უნდა ნახოს ფართო გამოყენება სხვადასხვა სახის წყლის პროცედურებმა (დაზელა, გადავლება, შხაპი, ბანაობა), მზის და ჰაერის აბანაზები.

ჰიგიენური მოთხოვნები, გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისადმი მოცემული ასაკისათვის უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს.

19. აუცილებელია კვირაში ერთხელ ჩატარდეს სანიტარიული დღე, მოსწავლეების აბანოში წაყვანა და ლოგინის თეთრეულის გამოცვლა.

20. კომკავშირულ-ახალგაზრდული ბანაკის გამგზავრება და მისი ადგილმდებარეობა აუცილებელია ეცნობოს რაიონის საავადმყოფოს სასოფლო სამედიცინო განყოფილებას, რომელსაც ეკისრება პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, სანიტარიული მეთვალყურეობა და თუ საჭიროება მოითხოვს, ჰოსპიტალიზაცია.

21. კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბანაკს უნდა ჰქონდეს შემუ-

შავებული დღის რეჟიმი შეთანხმებული ექიმთან, მისაღები ადგილობრივი პირობებისათვის და შეგუებული სამუშაოს ხასიათთან.

ბიბლიოთეკა

რეკომენდებულია შემდეგი დღის რეჟიმი:

| | |
|---|---|
| ადგომა | 6.30 სთ |
| დილის გამამხნევებელი ვარჯიში | 6.35-6.45 სთ. |
| ლოგინის ალაგება, წყლის პროცედურები | 6.45-7.00 სთ. |
| საუზმე | 7.00-7.30 სთ. |
| სამუშაოს დაწყება | 7.30 სთ. |
| სამუშაოს დამთავრება | 11.30 სთ. |
| გამაჯანსაღებელი ღონისძიებები (ბანაობა, თამაშობანი და ა. შ.) | 11.30-13.00 |
| სადილი | 13.00-14.00 |
| დასვენება (დღის ძილი) | 14.00-15.30 |
| მეორე საუზმე | 15.30-16.00 |
| წრეობრივი მუშაობა, ექსკურსია | |
| სპორტი და გართობები | 19.30-20.00 |
| სამხარი | 19.30-20.00 |
| თვითშემოქმედების საღამო | 20.00-22.00 |
| ხაზი, მზადება ძილისათვის | 22.00-22.30 |
| ძილი | 22.30 |

მოცემული რეჟიმი (მუშაობის ხანგრძლიობა და ა. შ.) ბუნებრივია იცვლება მოსწავლეთა ასაკის მიხედვით.

22. პასუხისმგებლობა ბანაკის სანიტარიულ მდგომარეობაზე, დღის რეჟიმის დაცვაზე და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების ორგანიზაციაზე უნდა დაეკისროს ბანაკის უფროსს.

### საინსტრუქციო მითითებანი სოფლის მეურნეობის სამუშაოებში მოსწავლეთა მონაწილეობის კონტროლზე ზაფხულის არდადეგების პერიოდში

1. კოლმეურნეობებში საზოგადობრივ სასარგებლო შრომაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან VI—X კლასის მოსწავლეები. უმცროსი კლასის მოსწავლეები (III—V კლასები) არ უნდა იქნენ დაშვებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, მათი მუშაობა უნდა შემოიფარგლოს სასკოლო ნაკვეთზე შრომით.

2. ყველა მოსწავლემ, რომელიც დაშვებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა-

ში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროა გაიაროს წინასწარი სამედიცინო გასინჯვა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან პრაქტიკულად ჯანმრთელი მოსწავლეები, თანახმად 1956 წლის 19 ოქტომბერს რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის მიერ დამტკიცებულსა და რსფსრ განათლების მინისტრის მოადგილესთან შეთანხმებულ სამედიცინო ნუსხისა სასწავლო სახელოსნოებში VI—X კლასების მოსწავლეთა შრომის გამოყენების შესახებ.

3. საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებისათვის კოლმეურნეობა გამოყოფს სათესი მიწის ფართობს, რომელიც გადაეცემა სკოლას. ამ უბანზე საჭიროა მოეწყოს საველე შრომითი ბანაკი ან გამოიყოს შესაბამისი სათავსები, (სასწავლო-საცდელი მეურნეობა), იმ ანგარიშით, რომ აუცილებლად იქნება გათვალისწინებული საზაფხულო სათავსები დასვენებისათვის, საჭმლის მოსამზადებლად და კვებისათვის. აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესანახად.

4. საველე სამუშაო (ბანაკი) ტერიტორიაზე არსებულ სასწავლო-საცდელ მეურნეობებში აუცილებელია იყოს საპირფარეშოები და პირსაბანები, სასურველია მოეწყოს სპორტული მოედნები, ფეხის დასაბანად სპეციალური ვარცლები და საშხაპე დანადგარები ავზის სახით, სადაც წყლის გათბობა მოხდება მზის სხივებით.

საველე სამუშაოსაგან (ბანაკი) მოშორებით, მინდორში მუშაობის დროს აუცილებელია მოეწყოს საფარები, რათა მოსწავლეებს შეეძლოთ მზისაგან თავის დაცვა ხანმოკლე შესვენების პერიოდში.

5. სამუშაო ადგილიდან მოსწავლეთა საცხოვრებლის 3 კმ. და მეტი მანძილით დაშორების შემთხვევაში, აუცილებელია მოეწყოს მოსწავლეთა გადაყვანა მუშაობის ადგილზე და უკან, უსაფრთხოების ტექნიკის ყველა მოთხოვნის დაცვით.

6. სამუშაო დღის ხანგრძლიობა მოსწავლეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისათვის უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული. მუშაობის ხანგრძლიობა VI—VII კლასების მოსწავლეთათვის შეადგენს 3 საათს, VIII კლასებისათვის 4 საათს, ხოლო IX—X კლასების მოსწავლეთათვის ნებადართულია დღეში 6 საათი მუშაობა, იმ პირობით, რომ სამუშაოს ნაწილი 4 საათის ხანგრძლიობით შესრულდეს დილით, ხოლო 2 საათის ხანგრძლიობით სადილის შემდეგ.

7. სამუშაო დღის დაწყების დადგენა ხდება ადგილობრივი [illegible]-

კრეტული კლიმატური პირობების გათვალისწინებით იმ ვარაუდით, რომ მუშაობა მიმდინარეობდეს მცირე ინსოლაციის საათებში. გადახურების თავიდან აცილების მიზნით IX—X კლასების მოსწავლეებისათვის დღის მეორე ნახევარში მუშაობა უნდა იწყებოდეს 16 — 17 საათიდან.

8. ყოველი 50 წუთი მუშაობის შემდეგ უნდა ეწყობოდეს 10 წუთიანი შესვენება.

9. უნდა ვერიდოთ ერთფეროვან, მოუხერხებელ პოზაში მოსწავლეთა ხანგრძლივად ყოფნას. ამისათვის სასურველია, მოსწავლეებმა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების დროს ცალკეული ოპერაციები დღის განმავლობაში შეასრულონ რიგრიგობით.

10. მოსწავლეებისათვის, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში იმყოფებიან სამოსწავლო ბრიგადებში ან სასწავლო-საცდელ მეურნეობებში საჭიროა გათვალისწინებული იქნეს გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელება (ბანაობა, დღის ძილი და ა. შ.) და აუცილებელი სრულფასოვანი, სხვადასხვა სახის ორჯერადი კვება (სადილი და საუზმე).

მოსწავლეებისათვის, რომლებიც დღეში მუშაობენ 3-4 საათს, საჭიროა გათვალისწინებული იყოს ცხელი კვება (სადილი), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი იმყოფებიან საველე სამუშაოზე (ბანაკი) მთელი დღის განმავლობაში — ორჯერადი კვება სადილი და საუზმე).

ახალგაზრდული ბანაკის ტიპის ბრიგადის შექმნის შემთხვევაში, მოზარდთა სადღეღამისო ყოფნით, საჭიროა მოსწავლეებს მიეცეთ 4 ჯერადი კვება, რომელთა საერთო კალორიულობა უნდა შეადგენდეს 3500—4000 კალორიას.

11. მუშაობის პროცესში მოსწავლეები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სრულფასოვანი სასმელი წყლით.

12. მუშაობის საერთო ხანგრძლიობა ზაფხულის პერიოდის განმავლობაში უნდა ითვალისწინებდეს უწყვეტი სრული დასვენების (არდადეგების) შესაძლებლობას: VI—VII კლასების მოსწავლეებისათვის არა ნაკლებ თვენახევარს, ხოლო VIII—X კლასების მოსწავლეებისათვის არა ნაკლებ ერთ თვეს. სასურველია ეს დასვენება ჩატარდეს ორგანიზებულად: ტურისტულ ლაშქრობაში, ექსკურსიაზე ან ახალგაზრდულ ბანაკში შეცვლილი რეჟიმით (გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები).

13. ისეთი სახის სამუშაოს შესრულებისას, რაც დაკავშირებულია

გაჭუჭყიანებასთან, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ სპეცტანსაცმელი, ბრეზენტის წინსაფრების, რეზინის ჩექმების და ხელთათმანების სახით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14. აკრძალულია 18 წლამდე ასაკის მოსწავლეთა დაშვება სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე და შხამქიმიკატებთან სამუშაოდ.

15. მოსწავლეები მწყემსის დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულებაზე არ დაიშვებიან.

16. მოსწავლეები არ დაიშვებიან გადამდები ავადმყოფობებით (თურქული, ციმბირული წყლული, ბრუცელოზი) დაავადებული ცხოველების და ფრინველების მოსავლელად.

17. უმცროსი კლასის (VI—VII) მოსწავლეები არ დაიშვებიან სოფლის მეურნეობის ისეთი სახის სამუშაოებზე, რაც დაკავშირებულია ნაკელის გადაზიდვასთან, ცხენების გამოყენებასთან, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებსა და ელექტროდენთან დაკავშირებულ სამუშაოებზე. მოსწავლეები არ დაიშვებიან სილოსის სამუშაოების შესრულებაზე.

18. საჭიროა დაწესდეს მკაცრი გამაფრთხილებელი და მიმდინარე სანიტარიული ზედამხედველობა სამოსწავლო ბრიგადებში და სასწავლო-საცდელ მეურნეობებში მომუშავე მოსწავლეთა ყოფაცხოვრების, კვების და მუშაობის რეჟიმზე, ამ მიზნით, მონაწილეობა უნდა მიაღებინონ სოფლის სამედიცინო უბნებსაც.

19. სოფლის მეურნეობაში მომუშავე მოსწავლეები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ მუდმივი სამედიცინო დახმარებით, მოსწავლეთა ბრიგადებისა და სასწავლო-საცდელი მეურნეობისათვის, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა დიდია (100 მოსწავლეზე მეტი), უნდა გამოყონ მუდმივად მომსახურე მედიცინის და.

20. საჭიროა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაწყებამდე მოსწავლეთა კუჭნაწლავის დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრების ჩატარება;

21. მოსწავლეთა ბრიგადებში და სასწავლო-საცდელ მუშაობაში მოსწავლეთა შრომის ორგანიზაციასა და რეჟიმზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

22. კოლმეურნეობაში მოსწავლეებისათვის დადგენილი მუშაობის რეჟიმზე კონტროლის განხორციელება ეკისრება რაიონის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურს (საავადმყოფოს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ განყოფილებას).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Циркулярное письмо
от 25 января 1972 года

**МИНИСТРАМ ПРОСВЕЩЕНИЯ АБХАЗСКОЙ И АДЖАРСКОЙ АССР, ЗАВ. ОТДЕЛОМ ПРОСВЕЩЕНИЯ ЮГО-ОСЕТИНСКОЙ АО, ЗАВЕДУЮЩИМ РАЙОННЫМИ И ГОРОДСКИМИ ОТДЕЛАМИ ПРОСВЕЩЕНИЯ**

**ПРЕДСЕДАТЕЛЯМ ОБЛАСТНЫХ, РАЙОННЫХ И ГОРОДСКИХ КОМИТЕТОВ ПРОФСОЮЗА**

## О несчастных случаях со смертельным исходом со школьниками при выполнении ими работ в сельском хозяйстве

В циркулярном письме от 20 сентября 1971 г. за № 07(4)67-М Министерством просвещения СССР и ЦК профсоюзов работников просвещения, высшей школы и научных учреждений отмечено, что 24 июня 1971 года учащиеся 3—8 классов восьмилетней школы с. Старый Кавдык, Ялуторовского р-на Тюменской области были привлечены руководвом школы и совхоза «Приозерный к посадке овощей. При этом вода для овощей подвозилась на бензовозах.

При одной из очередных подвозок воды ученица 3-го класса Юркова Вера, пытаясь прыгнуть на ходу на правую подножку бензовоза, упала под заднее колесо автомашины и получила травму со смертельным исходом.

Несчастный случай явился результатом грубого игнорирования директором школы Смородкиной М. А. Инструктивных указаний по санитарному контролю за участием сельских школьников в сельскохозяйственных работах во время летних каникул от 16-го мая 1959 г. № 292-59, которыми запрещено привлечение учащихся 3—5 классов к сельскохозяйственным работам. Общественно полезный труд школьников 3—5 классов может применяться лишь на пришкольных участках.

Директор школы не назначила никого из педагогического коллектива ответственным за организацию труда детей и

проведение инструктажа по технике безопасности. Автомашина, выделенная для перевозки детей, не была оборудована для этой цели.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Виновные в гибели ребенка директор школы Смородкина М. А. и главный агроном совхоза «Приозерный» Иванов И. Ф. наказаны в уголовном порядке.

Аналогичный случай имел место в октябре 1970 года в Сунтажской средней школе Латвийской ССР, когда в результате безнадзорности за работой учащихся, при перевозке овощей погиб ученик 9-го класса Маранс Янис, попав под колесо трактора.

Исходя из вышеизложенного Министерство просвещения Грузинской ССР и Республиканский Комитет профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений предлагают министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделу просвещения Юго-Осетинской А.О, районным и городским отделам просвещения и профсоюзным комитетам совместно с органами санитарного надзора:

а) ежегодно (в период летних каникул) периодически проверять состояние охраны труда, техники безопасности и санитарных условий при организации работы учащихся общеобразовательных школ в сельском хозяйстве;

Итоги проверки рассматривать на заседаниях коллегии и советов по народному образованию совместно с местными органами профсоюзных организаций и санитарного надзора, наметить соответствующие мероприятия по улучшению состояния охраны труда, техники безопасности и санитарных условий, что позволит изжить причины возникновения травматических случаев;

б) нормативные документы, приложенные к письму, довести до всех руководителей школ.

Зам. министра просвещения
Грузинской ССР
И. Берозашвили

Секретарь Республиканского
Комитета профсоюза
Г. Вардосанидзе

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## Инструктивные указания по санитарному контролю за участием сельских школьников в сельскохозяйственных работах во время летних каникул
(извлечение)

1. К участию в общественно полезном труде колхоза должны допускаться учащиеся VI—X классов. Учащиеся младших классов (III—V классы) не должны привлекаться к сельскохозяйственным работам, а их работа должна ограничиваться трудом на пришкольном участке.

2. Все учащиеся, привлеченные к участию в общественно полезном труде в колхозе, должны обязательно подвергнуться предварительному медицинскому осмотру.

К сельскохозяйственным работам допускаются учащиеся практически здоровые, не имеющие заболеваний, указанных в перечне медицинских противопоказаний для занятий в учебных мастерских, на предприятиях и в сельском хозяйстве для учащихся VI—X классов, утвержденных заместителем министра здравоохранения РСФСР и согласованных с заместителем министра просвещения РСФСР 19 октября 1956 г.

3. Для проведения школьниками сельскохозяйственных работ колхоз выделяет посевные площади земли, закрепленные за школой. На этом участке следует оборудовать полевой стан (ученические бригады) или отвести соответствующие помещения (учебно-опытные хозяйства), с тем, чтобы обязательно предусмотреть летние помещения для отдыха, приготовления и питания пищи, а также помещения для хранения сельскохозяйственного инвентаря.

4. На территории полевого стана (в ученических бригадах) в учебно-опытных хозяйствах обязательно наличие уборных и умывальников, желательно расположение спортивных площадок, специальных лотков для мытья ног и душевых установок в виде бачка, нагреваемого солнечными лучами.

При работе вдали от полевого стана нужно организовать навесы, для того, чтобы учащиеся могли укрываться от солнца во время кратковременного отдыха.

5. В случае расположения места работы на расстоянии более 3 км. от места жительства учащихся необходимо обеспечить перевоз школьников к месту работы и обратно.

Соблюдение всех требований техники безопасности.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. Продолжительность сельскохозяйственной работы учащихся в течение дня должна быть строго регламентирована. Длительность работы для учащихся VI—VII классов должна составлять 3 ч., VIII классов — 4 ч. Работа для учащихся IX—X классов разрешается 6 ч. в день при обязательном условии работы 4 ч. утром и 2 ч. в послеобеденное время.

7. Начало работы устанавливается в зависимости от конкретных климатических условий, с тем чтобы работа протекала в часы наименьшей инсоляции. Работу для учащихся IX—X классов во вторую половину дня во избежание перегрева следует начинать с 16—17 часов.

8. После 50 мин. работы следует устраивать 10-минутный перерыв.

9. Желательно избегать длительного пребывания учащихся в однообразной, тем более неудобной позе. Поэтому желательно, чтобы учащиеся при выполнении сельскохозяйственных работ отдельные операции выполняли в течение дня поочередно.

10. Для учащихся, которые в течение всего дня находятся в ученических бригадах или учебно-опытных хозяйствах, следует предусмотреть осуществление оздоровительных мероприятий (купание, дневной сон и т. д.) и обязательное полноценное, разнообразное двухразовое питание (обед и полдник).

Для учащихся, работающих 3—4 ч. в день, следует предусмотреть горячее питание (обед), а в случае пребывания их на полевом стане целый день — двухразовое питание (обед и полдник).

В случае организации бригады по типу молодежного лагеря, с круглосуточным пребыванием подростков, им следует предоставлять четырехразовое питание общей калорийностью 3500—4000 калор.

11. Во время работы учащихся необходимо обеспечить полноценный питьевой режим.

12. Общая длительность работ в течение летнего периода должна предусмотреть возможность непрерывного полного отдыха (каникул): для учащихся V—VII классов — не менее 1,5 месяцев, а для учащихся VIII—X классов — не менее месяца. Весьма желательно проведение этого отдыха организованно; в туристском походе, экскурсии или молодежном ла-

гере с измененным режимом (преобладание оздоровительных, познавательных и спортивных мероприятий).

13. При работе, связанной с загрязнением, учащимся должна быть предоставлена спецодежда в виде брезентовых фартуков, резиновых сапог и рукавиц.

14. Запрещается допускать учащихся до 18-летнего возраста к работам на сельскохозяйственных машинах, а также к работам с ядохимикатами.

15. Учащиеся к самостоятельной работе чабанами и пастухами не допускаются.

16. Учащиеся не допускаются к работе по уходу за больными животными и птицами (опасность заражения бруцеллезом, ящуром, туберкулезом и т. п.).

17. Не допускаются учащиеся младших классов (VI—VII) к выполнению следующих видов сельскохозяйственных работ: с навозом, с использованием лошадей, на животноводческих фермах, на току. Учащиеся не допускаются к работе, связанной с силосованием.

18. Следует установить строгий предупредительный и текущий саннадзор за условиями быта, питания и режима работы учащихся в ученических бригадах и учебно-опытных хозяйствах, привлекая для этого сельские врачебные участки.

19. Обеспечить постоянной медицинской помощью учащихся, работающих в сельском хозяйстве, выделив для ученических бригад и учебно-опытных хозяйств с большим количеством школьников (свыше 100 человек) постоянную медицинскую сестру.

20. До начала сельскохозяйственных работ провести профилактические прививки учащимся против кишечных инфекционных заболеваний.

21. Ответственность за организацию и режим работы школьников в ученических бригадах и учебно-опытных хозяйствах ложится на педагогический коллектив школы и председателя колхоза.

22. Контроль за осуществлением установленного режима работы школьников в колхозе возлагается на районную санитарно-эпидемиологическую станцию (санитарно-эпидемиологическое отделение больницы).

Отбор учащихся для работы по медицинским показателям, а также медицинский контроль за время работы в колхозе возлагается на главного врача больницы.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## Инструктивно-методические указания по санитарному контролю за организацией и проведением сельскохозяйственной практики городских школьников (извлечение)

1. Выезд учащихся на место проведения сельскохозяйственных работ должен осуществляться с разрешением санитарных органов. При отсутствии условий для нормальной организации труда и быта школьников, а также при наличии неблагоприятных эпидемических показаний разрешение на вывоз школьников не должна даваться.

2. Помещения, предоставляемые школьникам под жилье, должны быть сухими, светлыми, окна должны свободно открываться.

3. Размещать школьников рекомендуется в зданиях школ. Допускается размещение школьников в хорошо оборудованных палатках (при наличии деревянного пола, двойных стенок, дренажных канавок и т. п.).

4. Размещать школьников в домах колхозников совместно с их семьями запрещается.

5. Каждый учащийся должен иметь индивидуальную постель. При размещении школьников в палатках устройство топчанов обязательно. Сон в палатках на полу запрещается.

6. Длительность работы для учащихся VI—VII классов должна составлять 3 часа, VIII классов — 4 часа, IX—X классов — 6 часов в день.

7. После каждых 50—60 мин. работы следует устраивать перерывы по 10—15 мин.

8. В целях избежания перегрева, работу следует проводить в два приема, с тем чтобы она протекала в часы наименьшей инсоляции, а именно 2 ч. утром и 2 ч. вечером (вторую половину работы начинать не ранее 16 ч.). Работа в ночное время не разрешается.

9. Учащиеся не допускаются к работе:

а) на сельскохозяйственных машинах;

б) с применением ядохимикатов;

в) к уходу за взрослыми животными;

г) чистке шерсти животных сухим способом.

Следует избегать использования школьников на однообразной работе, связанной с неудобной позой.

10. Инструментарий, используемый школьниками, по своим размерам и весу должен соответствовать возможностям подростков и быть в исправном состоянии.

11. В случае отдаленйя жилья от места работы более чем на 3 км необходимо обеспечить подвоз учащихся к месту работы и обратно.

12. Одежда учащихся должна защищать их от перегревания и чрезмерной инсоляции, предохранять от загрязнения и запыления.

13. При работе в условиях интенсивной инсоляции ношение головных уборов школьниками обязательно.

14. При работе, связанной с загрязнениями, при уходе за животными учащиеся должны снабжаться спецодеждой в виде фартука, рукавиц, резиновых сапог.

15. При работе в поле в солнечные дни желательно вблизи от места работы устраивать навесы (тенты, палатки, шалаши) с целью защиты от чрезмерной инсоляции учащихся во время отдыха. Во время работы в поле учащиеся должны быть обеспечены доброкачественной питьевой водой.

16. Особое внимание в режиме следует уделить правильно организованному высококачественному и достаточному питанию школьников.

Суточный рацион школьников в молодежном лагере должен обеспечить не менее 3500 калор.

Питание учащихся следует проводить 4 раза в день. Желательно ежедневно включать в рацион молоко в количестве не менее 0,5 л. на каждого, свежее мясо и овощи. Суточный режим по приемам пищи следует распределить следующим образом: завтрак 25%, обед 40—45%, полдник 10% и ужин 20—25% общего калоража.

17. Для приготовления пищи выделяется специальное лицо, обладающее необходимыми техническими и санитарными знаниями и навыками. Лица, непосредственно связанные с приготовлением пищи, должны подвергнуться медицинскому осмотру, исследованию на бациллоносительство и тщательно выполнять все правила личной гигиены.

Кухонную и обеденную посуду необходимо тщательно мыть, дезинфицировать кипятком. После мытья посуду не вытирать, а высушивать на полках-решетках. При хранении посуду следует защищать от загрязнения и мух.

При возложении обязанности приготовления пищи на учащихся они должны пройти медицинский осмотр и обучение

санитарному минимуму. Участие школьников в приготовлении пищи допускается в порядке дежурств.

18. Туризм (экскурсии), подвижные игры, гимнастические упражнения, спортивные развлечения обязательно следует сочетать с разумным использованием естественных факторов природы.

Учитывая благоприятное влияние на организм детей рационального применения закаливающих процедур, в лагере должны найти широкое применение различные водные процедуры (обтирание, обливание, душ, купание), солнечные и воздушные ванны.

Гигиенические требования к оздоровительным мероприятиям должны соответствовать установленным для данного возраста нормам.

19. Один раз в неделю обязательно проведение санитарного дня с мытьем учащихся в бане и сменой постельного белья.

20. О выезде и местоположении комсомольско-молодежного лагеря необходимо ставить в известность сельский врачебный участок районной больницы, на который возлагается обязанность оказания медицинской помощи, санитарного наблюдения и в случае необходимости госпитализации заболевших школьников.

21. Комсомольско-молодежный лагерь должен иметь разработанный и согласованный с врачем режим дня применительно к местным условиям и характеру выполняемой работы.

## РЕКОМЕНДУЕТСЯ СЛЕДУЮЩИЙ РЕЖИМ ДНЯ

| | |
|---|---|
| Подъем | 6 ч. 30 мин. |
| Зарядка | 6.35 — 6.45 ч. |
| Уборка постелей, водные процедуры | 6.45 — 7.00 ч. |
| Завтрак | 7.00 — 7.30 ч. |
| Начало работы | 7.30 ч. |
| Окончание работы | 11.30 ч. |
| Оздоровительные мероприятия (купание, игры и т. д.) | 11.30 — 13.00 ч. |
| Обед | 13.00 — 14.00 ч. |
| Отдых (дневной сон) | 14.00 — 15.30 ч. |
| Полдник | 15.30 — 16.00 ч. |
| Кружковая работа, экскурсии, спорт и развлечения | 16.30 — 19.30 ч. |
| Ужин | 19.30 — 20.00 ч. |
| Вечер самодеятельности | 20.00 — 22.00 ч. |

Линейка, подготовка ко сну . . 22.00 — 22,30 ч.
Сон . . . . . . . . . . . . . 22,30 ч.

Указанный режим (продолжительность работы и т. д.), естественно, видоизменяется в зависимости от возраста учащихся.

2. Ответственность за санитарное состояние лагеря, соблюдение режима труда и за организацию быта школьников должна быть возложена на начальника лагеря.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ПРИКАЗ № 30

**По Министерству просвещения Грузинской ССР
от 21 января 1972 г.**

### О состоянии преподавания по новым программам русского языка и литературы в пятых классах школ г. г. Тбилиси, Батуми и Кобулетского района

Проверкой, проведенной Управлением школ и методическим отделом Министерства просвещения Грузинской ССР, установлено, что органы народного образования и ИУУ провели определенную работу по созданию необходимых условий для перехода V классов к работе по новым программам и учебникам.

В 1971 году на курсах при Республиканском ИУУ и его филиалах была осуществлена подготовка учителей, выдвинутых для работы в V классах.

Учащиеся V классов были своевременно обеспечены учебниками, учителя — методическими разработками уроков, предложенными журналами «Русский язык в школе» и «Литература в школе».

Методическим отделом Министерства просвещения ГССР размножен и распространен в помощь учителям V классов сборник материалов по теории литературы, подготовленных Ленинградским ИУУ.

Переход на новые программы по русскому языку и литературе в V классах подготовлен также годом серьезной работы по этим предметам в IV классе в 1970-71 учебном году.

Были проверены 16, 38, 41, 43, 44, 56, 80, 98, 111, 126 школы г. Тбилиси; 3, 7, 8, 10, 11, 15, 18, 20, 24, 25 школы г. Батуми; Кобулетская № 2, Очхамурская, Чаквинская, Дагвская средние школы и Кобулетская, Цихисдзирская, Цехлаурская, 8-летние школы Кобулетского района.

Методически грамотно, в соответствии с требованиями новых программ проводят уроки преподаватели Таранова Л. С. (средняя школа №41 г. Тбилиси), Нариманян П. Б. (средняя школа № 43), Базадзе В. П., средняя школа № 56-я г. Тби-

лиси), Кирвалидзе И. Г. (средняя школа № 38 г. Тбилиси), Красевич А. М. (средняя школа № 10 г. Батуми), Ильницкая В. Х. (Немсицверидзе М. Ш. (средняя школа № 3 г. Батуми), Воронова М. Г. (средняя школа № 8 г. Батуми).

Прослушанные уроки позволяют сделать вывод о том, что содержание новых программ дано в пределах познавательных возможностей учеников, теоретический материал усваивается в основном всеми.

При повторении пройденного в IV классе обнаружились устойчивые знания, которые проявились в умении производить синтаксический, морфологический и фонетический разбор, различать предложения по цели высказывания, находить грамматическую основу предложения, выделять орфограммы и т. д. Новый материал усваивается учащимися сознательно, через анализ фактов и явлений. Учителя активизируют познавательные возможности учеников вопросы, обращенные к ним, ставят целью научить мыслить самостоятельно.

Значительно больше внимания стали уделять учителя работе со словарем.

Преподаватель 98-й средней школы г. Тбилиси Критская В. Г. приучает пятиклассников самостоятельно работать со словарями разного типа — орфографическим, толковым, этимологическим, иностранных слов. Активно пользуются словарями на уроке и при выполнении домашних заданий, ученики преподавателя 38-й средней школы г. Тбилиси Кирвалидзе Т. Г.

В планах педсоветов большинства проверенных школ стоит вопрос о состоянии преподавания русского языка и литературы в V кл.

Как положительный факт следует отметить не только значительно возросшую активность учащихся на уроке, но и увлеченность, энтузиазм учителей, вызванные работой по новым программам.

Однако, проверка постановки преподавания русского языка и литературы в V классах выявила и серьезные недостатки в работе учителей.

Существенным недочетом является резкое сокращение объема письменных работ на уроке. Это положение не может быть оправдано увеличением объема теоретического материала. Ослабление внимания к письменным видам работы свидетельствует о недостаточном овладении такими методами, которые обеспечат равноценное выполнение всех требований новой программы. Устная форма работы преобладала на уроках преподавателей Асанкизи З. Г. (средняя школа № 16

г. Тбилиси), Лемешко А. С. (средняя школа № 43 г. Тбилиси), Шнилиленко Е. М. (средняя школа № 11 г. Батуми) и других учителей.

В большинстве проверенных школ выявлено грубое нарушение норм проверки домашних и классных тетрадей учащихся. Подавляющим числом учителей упражнения, выполняемые в классе и дома, проверяются не систематически или не проверяются вообще.

Учителя не проявляют необходимой требовательности к эстетике оформления тетрадей по литературе, в наибольшей степени все эти замечания относятся к преподавателям школ Кобулетского района, особенно Чаквинской и Кобулетской средних школ. Неаккуратностью отличаются тетради по литературе пятиклассников 10 средней школы г. Батуми (преп. Красевич А. М.).

Проверка контрольных тетрадей выявила тенденцию снисходительного отношения учителей к стилистическим ошибкам, невыразительной, малохудожественной речи, что резко противоречит требованиям, которые предъявляет к развитию речи программа. Невнимательна к стилистическим ошибкам учеников преподаватель средней школы № 44 г. Тбилиси Вартанова С. Г., не проявляет достаточной требовательности к культуре письменной речи Лемешко А. С. (средняя школа № 43 г. Тбилиси).

К серьезным недостаткам следует отнести и однотипность контрольных работ, однообразие их видов не позволяет всесторонне развивать мыслительные и творческие способности учащихся, не дает возможности контролировать овладение всеми навыками, определенными новой программой.

Слабым местом в работе значительной части учителей продолжает оставаться работа по развитию речи. Изучение грамматического материала все еще нередко носит оторванный от живой, практической и литературной, художественной речи характер. Примеры, используемые при изучении правил часто невыразительны и малохудожественны. Этот недостаток имел место на уроках Куликовой Е. М. (средняя школа № 18 г. Батуми), Мосашвили М. Б. (средняя школа № 7 г. Батуми), Денисовой Р. Н. (средняя школа № 7 г. Батуми), Коасевич А. М. (средняя школа № 10 г. Батуми) и многих других учителей.

Основные и уже практически доказанные преимущества новых программ по русскому языку и литературе могут быть реализованы только при высоком научно-теоретическом и методическом уровне знаний учителя. Однако, проверка выявила

случаи недостаточно глубокой и тщательной подготовки к урокам, в результате чего имеет место неправильное толкование слов, понятий, приблизительность в объяснении лексического значения слов.

Неудовлетворительную общую подготовку отдельных учителей в наибольшей степени отражают уроки литературы. Не все учителя обладают необходимой для преподавания литературы эрудицией, мастерством художественного слова. Проверкой установлено также, что не все преподаватели литературы владеют методикой художественного анализа. Отдельные учителя склоняются к примитивизму в оценке художественных образов, идейного содержания произведения.

В более глубокой научно-теоретической и методической подготовке нуждаются учителя: Ксеньди К. Д. (средняя школа № 8 г. Батуми), Тордеева М. А. (Очхамурская средняя школа Кобулетского района), Вартанова С. Г. (средняя школа № 44 г. Тбилиси), Денисова Р. (средняя школа № 7 г. Батуми).

Проведя определенную работу по подготовке учителей к преподаванию в V классах по новым программам и учебникам, ИУУ, местные органы народного образования, руководители школ не оказывают, однако, действенной систематической помощи в текущей работе учителей, не проявляют должной оперативности в обобщении передового опыта. Причиной этого в отдельных случаях является недостаточная осведомленность руководителей школ в вопросах новой программы.

В целях устранения имеющихся недостатков и обеспечения строгого контроля за работой учителей по новым программам со стороны органов народного образования, ПРИКАЗЫВАЮ:

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, Заведующему Областным ОНО Юго-Осетинской АО, заведующим городскими и районными отделами народного образования:

а) до 1 марта 1972 года провести совещания руководителей школ, на которых обсудить состояние преподавания по новым программам русского языка и литературы в III классах и ознакомить их с мероприятиями, намеченными коллегией Министерства просвещения Грузинской ССР.

б) обеспечить строгий контроль за выполнением требований, изложенных в настоящем приказе;

2. Руководителям школ:

а) усилить контроль за выполнением требований, предъявляемых к проверке домашних и классных тетрадей по русскому языку и тетрадей по литературе;

б) поручить преподавание русского языка и литературы в VI классе в 1972/73 учебном году тем учителям, которые были поставлены об этом в известность в конце текущего учебного года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. Преподавателям русского языка и литературы:

а) повысить требования к культуре письма учащихся и к эстетике оформления тетрадей;

б) усилить работу по формированию навыков грамотного письма, не допускать сокращения объема письменных работ на уроке;

в) разнообразить виды письменных (в том числе и контрольных) работ, улучшить качество их проверки, обратив должное внимание на стилистические ошибки.

4. Руководителям городских, районных и школьных методобъединений учителей русского языка и литературы;

а) включить в план работы методобъединений изучение вопросов по методике анализа художественных произведений;

б) организовать в конце учебного года обобщение опыта работы лучших учителей V классов и ознакомить с ним преподавателей, которым предстоит работать в V классах в 1972/73 учебном году.

5. Республиканскому Институту усовершенствования учителей (тов. Захашвили Т. А.):

а) приглашать для чтения лекций на курсах повышения квалификации учителей-практиков, имеющих опыт работы по новым программам в IV и V классах;

б) разработать и представить в Министерство просвещения Грузии не позднее 15 марта 1972 года план и программы летних курсов усовершенствования при ИУУ, предусмотрев в них вопросы, связанные с преподаванием русского языка и литературы по новым программам в VI классе.

6. Управлению школ и методическому отделу Министерства просвещения Грузинской ССР (т. т. Чхиквадзе А. и Цаава В.):

а) проверить на местах работу учителей, прошедших курсы усовершенствования при ИУУ;

б) осуществлять постоянный контроль за преподаванием русского языка и литературы в IV, V, VI классах и выполнение данного приказа.

**Основание:** Постановление Коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 3/XII-71 года.

**Министр просвещения**
**Грузинской ССР** Т. Лашкарашвили

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 2 თებერვლის ბრძანება № 41

### ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, გორის, აჭარის ასსრ, ყვარლის და გორის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების შემოწმების შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, გორის, აჭარის ასსრ, ყვარლის და გორის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან გახსნილი ლოგოპედიური პუნქტების უმრავლესობას გამოყოფილი აქვს სათანადო ოთახები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით. ლოგოპედთა უმრავლესობა კარგად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, კეთილსინდისიერად მუშაობს მეტყველებაში დეფექტის მქონე ბავშვებთან და დამაკმაყოფილებელ შედეგსაც აღწევს; მეტყველებაგამოსწორებულ ბავშვებში რეციდივის თავიდან აცილების მიზნით სისტემატური კავშირი აქვთ მასწავლებლებსა და მშობლებთან. კარგი წარმატებები აქვთ ლოგოპედებს თ. ფერაძეს (ქ. თბილისის 1-ლი სკოლა), ა. იანაშვილს (53-ე სკოლა), ე. ყიფიანს (მე-60 სკოლა), ა. ქელბაქიანს (მე-4 სკოლა), მ. ფუტკარაძეს (36-ე სკოლა), ლ. მოგინაშვილს (38-ე სკოლა), ვ. ბახტაძეს (130-ე სკოლა), ნ. მამაგეიშვილს (54-ე სკოლა), მ. კარვთელიძეს (117-ე სკოლა), ა. თარანაშვილს (ქ. ქუთაისის მე-9 სკოლა), ე. ტულუშს (ქ. თბილისის 21-ე სკოლა), ნ. შერმადინს (ქ. გორის მე-5 სკოლა), გ. გოგიტიძეს (ქობულეთის I-ლი სკოლა), ო. მურადოვას (გორის რაიონის სოფ. ხიდისთავის სკოლა).

ლოგოპედების გარკვეული ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ შექმნილი სათანადო პირობები, თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ მეტყველებაში დეფექტის მქონე ბავშვებთან მუშაობაში (ქ. ტორონჯაძე — ქ. თბილისის მე-10 სკოლა, ნ. ქეცბაია — ქ. თბილისის 35-ე სკოლა, ლ. ნებიერიძე — ქ. თბილისის 39-ე სკოლა, ი. თორაძე — ქ. თბილისის მე-100 სკოლა, ე. გველესიანი — ქ. ქუთაისის 1-ლი სკოლა, გ. ნიკოლაევა — ქობულეთის მე-2 სკოლა).

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. თბილისის ლოგოპედების სარაიონთაშორისო მეთოდგაერთიანება (ხელმძღვანელი თ. ფერაძე), რომელიც გარდა ქ. თბილისის ლოგოპედებისა, ქმედით დახმარებას უწევს რესპუბლიკის რაიონების ლოგოპედებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა, ლოგოპედიური პუნქტების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. რიგი პუნქტებისათვის ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა შესაფერისი სამუშაო ოთახების გამოყოფა. ლოგოპედიური პუნქტები შეკედლებულია სამუშაოდ უვარგის ოთახებში (ქ. ქ. თბილისის მე-7, მე-15, 38-ე, 39-ე, 62-ე, ქუთაისის 1-ლი, ბათუმის მე-4, მე-8, ქობულეთის მე-2, მე-3, ყვარლის რაიონის სოფელ შილდის საშუალო სკოლა).

რიგ სკოლებში მომუშავე ლოგოპედებს არა აქვთ გავლილი ლოგოპედთა მოსამზადებელი კურსები, რის გამოც უჭირთ მეტყველებაში შედარებით რთული ნაკლის მქონე ბავშვებთან მუშაობა (ლ. კოხრეიძე — ქ. თბილისის 42-ე სკოლა, დ. ლაბაძე — ქ. თბილისის 62-ე სკოლა, ც. ლობჟანიძე — ქ. თბილისის 140-ე სკოლა, ს. მასხულია — ქ. თბილისის 147-ე სკოლა, ქ. მამასახლისი — ქ. ბათუმის მე-4 სკოლა, ც. ბაჯელიძე — ბათუმის მე-6 სკოლა, ნ. სურგულაძე— ქ. ქობულეთის მე-3 სკოლა, ნ. შიუკაშვილი — გორის რაიონის სოფელ ვარიანის სკოლა).

ქ. თბილისის რაიონებში ლოგოპედიური პუნქტები არათანაბრად არის განაწილებული სკოლების რაოდენობისა და მოსწავლეთა კონტინგენტის მიხედვით. მაგალითად, თუ ორჯონიკიძის რაიონის 18 სკოლაში 13 ლოგოპედიური პუნქტია, ხოლო პირველი მაისის რაიონის 19 სკოლაში — 10, ლენინის სახელობის რაიონის 27 სკოლიდან ასეთი პუნქტი მხოლოდ 8 სკოლაშია; კიროვის რაიონში 12-დან 5-ში, 26 კომისრის რაიონში კი 41-დან ლოგოპედიური პუნქტი მხოლოდ 5 სკოლას გააჩნია.

ასევე არათანაბრად არის განაწილებული ლოგოპედიური პუნქტები რესპუბლიკის რაიონებშიც. მაგალითად, გორის რაიონში 3 ლოგოპედიური პუნქტია, მცხეთის რაიონში კი არცერთი. სრულებით არ არის ლოგოპედიური პუნქტები ლანჩხუთის, საგარეჯოს, წითელწყაროს, ბოლნისის და სხვა რაიონებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს რესპუბლიკის ლოგოპედებს გულდასმით შეამოწმონ მოსწავლეები მათ მეტყველებაში არსებული ნაკლის გამოსამჟღავნებლად, სწორად განსაზღვრონ მეტყველების ნაკლის სახეობა

და სათანადო ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით მიაღწიონ ბავშვის მეტყველებაში არსებული ნაკლის გამოსწორებას. მუშაობის პროცესში ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინოება და ლოგოპედიური ხელსაწყოები. სისტემატური კონტროლი გაუწიონ მეტყველებაგამოსწორებულ ბავშვებს რეციდივის თავიდან აცილების მიზნით. მოაწყონ მეტყველებაგამოსწორებულ ბავშვთა საზეიმო გამოშვება.

2. ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ქობულეთის და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. თ. ეგაძე, ი. გენძეხაძე, დ. ღლონტი, რ. ჯინჭარაძე, დ. ლაფაჩიშვილი) უზრუნველყონ ლოგოპედიური პუნქტები სათანადო სამუშაო ოთახებითა და ინვენტარით, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, ლოგოპედიური პუნქტები გადაიტანონ სკოლებში, სადაც საამისო პირობების შექმნა შესაძლებელია.

3. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე):

ა) გადასინჯოს ლოგოპედიური პუნქტების ქსელი და მოახდინოს ამ პუნქტების გადანაწილება რაიონებს შორის საჭიროების მიხედვით;

ბ) დაადგინოს ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეტყველების და ფიზიკური დეფექტების მქონე ბავშვთა ზუსტი კონტინგენტი და საჭიროების შემთხვევაში დასვას საკითხი ქ. თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლასთან ასეთ მოსწავლეთათვის სპეციალური კლასების გახსნის შესახებ.

4. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (ამხ. თ. ზახაშვილი):

ა) 1971—72 სასწავლო წელს მოაწყოს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები იმ ლოგოპედებისათვის, რომლებსაც სპეციალური კურსები არ გაუვლიათ;

ბ) მოიწვიოს დახელოვნების კურსებზე ლექციების წასაკითხად სპეციალისტები მოსკოვის დეფექტოლოგიის ინსტიტუტიდან;

გ) მოამზადოს დასაბეჭდად საჭირო დოკუმენტაცია ლოგოპედიური პუნქტებისათვის.

5. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) უზრუნველყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მომზადებული დოკუმენტების დაბეჭდვა.

6. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლების სამმართველო დოკუმენტაციის დასაბეჭდად საჭირო ქაღალდით.

7. სახელმძღვანელოების განყოფილებამ გაითვალისწინოს:

ა) ლოგოპედიის სახელმძღვანელოს — „წარმოთქმის ნაკლოვანებანი და მათი გამოსწორება“ (ავტორი თ. ფერაძე) გამოცემა 1973 სასწავლო წლისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ალბომის „დიდაქტიკური მასალა ლოგოპედიაში“ (ავტორები: ზ. არეშიძე და სხვები) გამოცემა.

8. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა რეგულარულად შეისწავლონ ლოგოპედიური პუნქტების მუშაობა, დაადგინონ ასეთი პუნქტების საჭიროება (დეფექტის მქონე ბავშვთა რაოდენობის ჩვენებით და წარმოადგინონ განათლების სამინისტროში მასალები ყოველი წლის მაისის თვეში.

9. გაზეთ „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) თავის ფურცლებზე გამოაქვეყნოს სტატიები მოწინავე ლოგოპედთა მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
17/II, 1972 წელი

# ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების დებულება

## 1. ზოგადი დებულებანი

1. ლოგოპედიური პუნქტები ექვემდებარება საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას და იმყოფება ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტზე.

2. ლოგოპედიური პუნქტების ამოცანაა:

ა) მოსწავლეთა მეტყველების სხვადასხვა სახის დეფექტების გამოსწორება (წარმოთქმის ნაკლი, აგრაფია, ალექსია, ენაბლუობა და სხვ.).

ბ) ლოგოპედიური ცოდნის პროპაგანდა მშობელთა ფართო ფენებში (მოხსენებები და საუბრები მეტყველების ნაკლის გამოსწორებისა და ამ ნაკლის თავიდან აცილების შესახებ, ადგილობრივ პრესაში სტატიების გამოქვეყნება, რადიოლექციები და სხვ.).

3. შესაბამისი პროგრამების მიხედვით მეტყველების ნაკლის გამოსწორებაზე სისტემატური მუშაობა ლოგოპედიურ პუნქტში.

## II. ლოგოპედიური მუშაობის ორგანიზაცია

ლოგოპედიურ პუნქტში ჩაირიცხებიან მეტყველების ნაკლის მქონე მოსწავლეები, გამოვლინებული ლოგოპედის მიერ მოსწავლეთა მეტყველების შემოწმების შედეგად.

ა) მშობელთა განცხადების საფუძველზე, სკოლის მასწავლებელთა და რაიონული პოლიკლინიკის მომართვით;

ბ) მასობრივი სკოლის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ არასწორი მეტყველება სმენის (მსუბუქი) დაქვეითების შედეგად.

მეტყველებაში ნაკლის მქონე მოსწავლეები აღირიცხებიან სპეციალურ ჟურნალში (ჟურნალი № 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მეცადინეობა ლოგოპედიურ პუნქტში მოსწავლეთა ჯგუფებთან ტარდება საკლასო მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს საამისოდ დაწესებულ საათებში, თითოეულ ჯგუფთან კვირაში სამჯერ (დღეგამოშვებით).

3. ლოგოპედიურ პუნქტში მეტყველების ნაკლის გამოსასწორებლად სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად ფორმად ითვლება ჯგუფური მეცადინეობა. თითოეულ ლოგოპედიურ პუნქტში ერთდროულად მეცადინეობს 25-30 მოსწავლე. მოსწავლეთა რეგისტრაცია წარმოებს სპეციალურ ჟურნალში (ჟურნალი № 2).

4. ჯგუფური მეცადინეობისათვის შეირჩევიან ბავშვები ასაკისა და ნაკლის ხასიათის მიხედვით. ჯგუფი კომპლექტდება 4-5 მოსწავლისაგან.

5. ლოგოპედიური მეცადინეობის ხანგრძლივობა თითოეული ჯგუფისათვის თითო აკადემიური საათია; საჭირო შემთხვევაში ცალკეულ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მეცადინეობის ხანგრძლივობა 15—20 წუთია.

6. მეტყველების ნაკლის გამოსწორების მეთოდები, რომლებსაც ლოგოპედი მასწავლებელი იყენებს მეტყველებაში არსებული ნაკლის დასაძლევად, მიმართული უნდა იყოს მოსწავლეებში აქტიური დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის გამომუშავებისაკენ.

7. სასწავლო მასალა (სიტყვები, ტექსტი, სურათები და ა. შ.), რომელიც გამოიყენება მეტყველების გამოსასწორებლად, უნდა პასუხობდეს სასწავლო აღმზრდელობით ამოცანებს, შეესაბამებოდეს მოსწავლის განათლების დონესა და ასაკს.

8. ლოგოპედ-მასწავლებელი ადგენს წლიურ სამუშაო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ლოგოპედიური მეცადინეობის ყველა სახე.

9. წლიური გეგმის გარდა ლოგოპედი ადგენს სამუშაო გეგმას ცალკეული ჯგუფისათვის და იმ მოსწავლეთათვის, რომლებთანაც ატარებს ინდივიდუალურ მეცადინეობას და აწარმოებს მეცადინეობის აღრიცხვას (ჟურნალი № 3).

10. მძიმე ენამოშლილ მოსწავლეზე ლოგოპედი ავსებს მეტყველების გამოკვლევის ბარათს (იხ. სათანადო დანართი).

11. მეცადინეობაზე მოსწავლეთა სისტემატურ დასწრებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ლოგოპედ-მასწავლებელს, კლასის ხელმძღვანელს და სასწავლო მუშაობის დარგში იმ სკოლის დირექტორის მოადგილეს, რომელთანაც არსებობს ლოგოპედიური პუნქტი.

12. ლოგოპედურ პუნქტში მეცადინეობის დამთავრებას შემდეგ ლოგოპედ-მასწავლებელი კლასის ხელმძღვანელთან ერთად ადგენს წერილობით დასკვნას მოსწავლის მეტყველების მდგომარეობის შესახებ, რომელიც გაეცნობა მშობელს; დასკვნის ასლი გადაეცემა სკოლას, რომელშიც მოსწავლე სწავლობს.

## III. მოსწავლეები

1. მოსწავლეთა ჩარიცხვა ლოგოპედიურ პუნქტში იწყება სექტემბრიდან და ადგილის განთავისუფლების შემთხვევაში გრძელდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე. მოსწავლეთა გამოშვება წარმოებს მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსწორების შემდეგ.

2. თითოეული მოსწავლე ლოგოპედიურ პუნქტში დადის მეცადინეობისათვის დადგენილ დღეებში.

3. ლოგოპედიურ პუნქტში მიღებული მოსწავლეებისათვის მეცადინეობაზე დასწრება და სკოლის საერთო განაწესის დაცვა სავალდებულოა.

4. მეტყველების ნაკლის მქონე მოსწავლეები, საჭიროების მიხედვით შესამოწმებლად იგზავნებიან რაიონის პოლიკლინიკის ექიმ-სპეციალისტებთან (ნერვოპათოლოგებთან; ფსიქონერვოლოგებთან, ოტოლარინგოლოგებთან); ექიმ-სპეციალისტთა დასკვნები მათ შესახებ ინახება ლოგოპედიურ პუნქტში.

## IV. ლოგოპედ-მასწავლებელი

1. ლოგოპედ-მასწავლებლად ინიშნებიან უმაღლესი, დეფექტოლოგიური ან ზოგადი პედაგოგიური განათლების მქონე პირები, რომელთათვის ლოგოპედთა დახელოვნების კურსების გავლა სავალდებულოა.

2. ლოგოპედ-მასწავლებლები 1971 წლის 6 /IX № 1/ 1302 ცირკულარულ წერილის შესაბამისად ინიშნებიან, გადაიყვანებიან და თავისუფლდებიან აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ლოგოპედ-მასწავლებელი პასუხისმგებელია ლოგოპედიური პუნქტის მოწყობასა და ამ დებულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჩატარებაზე.

4. ლოგოპედ-მასწავლებლის მოვალეობას შეადგენს:

ა) ენამოშლილ მოსწავლეთა გამოკვლევა და ჩარიცხვა ლოგოპედიურ პუნქტში: სამეცადინო დღეებისა და მეცადინეობის ხანგრძლივობის დადგენა.

ბ) ენამოშლილ მოსწავლეებთან სისტემატური მეცადინეობის ჩატარება;

გ) სისტემატური კავშირის დამყარება სკოლის დირექტორის მოადგილესთან სასწავლო მუშაობის დარგში, კლასის ხელმძღვანელებთან პედაგოგიური მეთოდებისა და სპეციალური ხერხების ურთიერთგაზიარების მიზნით და მუშაობაში ერთობლივი მიმართულების გამომუშავებისათვის მეტყველების ნაკლის გამოსწორების უზრუნველსაყოფად;

დ) მოსწავლეებზე კომპლექსური ზემოქმედების უზრუნველსაყოფად სისტემატური კავშირის დამყარება რაიონის პოლიკლინიკიდან მომაგრებულ სპეციალისტ ექიმებთან და ბავშვთა პოლიკლინიკის ლოგოპედებთან.

5. ლოგოპედ-მასწავლებლის ყოველდღიური მუშაობა განისაზღვრება სამი აკადემიური საათით. აღნიშნულ დროში არ შედის გაკვეთილებისათვის მომზადება, გაკვეთილებზე დასწრება, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ლოგოპედიური პუნქტის სხვა დოკუმენტაციის წარმოება, რვეულების გასწორება, პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე დასწრება.

6. უმაღლესი პედაგოგიური (დეფექტოლოგიური) განათლების მქონე ლოგოპედ-მასწავლებლებზე, რომლებიც მუშაობენ ლოგოპედიურ პუნქტებში, ვრცელდება ხელფასის ის განაკვეთი, რომელიც დადგენილია საშუალო სკოლის VIII—X კლასის მშობლიური ენის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის მასწავლებლებისათვის, აგრეთვე ყველა უფლება და უპირატესობა, რომელიც დადგენილია საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის.

7. ლოგოპედ-მასწავლებლებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებში, უფლება ეძლევათ:

ა) მიიღონ ხელფასის პერიოდული მომატება და წელთა დამსახურების პენსია საშუალო სკოლის მასწავლებელთა თანაბრად;

ბ) მიიღონ 48 დღის ხანგრძლივობის ყოველწლიური შვებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## V. ლოგოპედიურ მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა

1. ლოგოპედ-მასწავლებელთა მუშაობას ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ლოგოპედიურ პუნქტში სწავლების მდგომარეობის სისტემატური შემოწმება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ლოგოპედიური პუნქტების სასწავლო-თვალსაჩინო მასალებით უზრუნველყოფას, მათ გამოყენებას, დაწესებული დოკუმენტაციის შევსება-გაფორმებას, გამოშვებულ მოსწავლეთა რაოდენობისა და მათი მეტყველების მდგომარეობის აღნიშვნით.

2. ლოგოპედიური პუნქტებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების განლაგების მიხედვით რაიონის, ქალაქის კაბინეტებსა ან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან იქმნება ლოგოპედ-მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებანი.

3. ხელმძღვანელობა ლოგოპედ-მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებაზე ეკისრება ერთ-ერთ გამოცდილ ლოგოპედს, რომელიც დაინიშნება განათლების განყოფილების მიერ.

ლოგოპედ მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანების ამოცანას შეადგენს:

ა) ზრუნვა ლოგოპედ-მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე იმ სკოლის მასწავლებლებთან ერთად, რომელთანაც ლოგოპედიური პუნქტია გახსნილი;

ბ) ორგანიზაციულ და მეთოდურ საკითხებზე ლოგოპედთათვის მეთოდური დახმარების გაწევა;

გ) ლოგოპედთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, გამოცდილების გაზიარების მიზნით საჭირო ღონისძიებათა გატარება, სპეციალური ლიტერატურის გაცნობა-განხილვა და სხვ.

## VI. ლოგოპედიური პუნქტის შენობა, მოწყობილობა და დაფინანსება

1. ლოგოპედიური პუნქტი იქმნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ ერთ-ერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან და ემსახურება როგორც ამ სკოლის, ისე სხვა სკოლების მოსწავლეებსაც, რომლებიც მიმაგრებული არიან ამ ლოგოპედიურ პუნქტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მოსწავლეთა უკეთ მომსახურებისათვის ლოგოპედ-მასწავლებლებს უფლება აქვთ განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით გახსნან ლოგოპედიური პუნქტის ფილიალი სხვა სკოლაში.

3. ლოგოპედიური პუნქტის ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადატანა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების ნებართვით.

4. სკოლა, რომელშიც მოთავსებულია ლოგოპედიური პუნქტი, ვალდებულია გამოუყოს მას არაუმცირეს 30 კვ. მეტრის ფართობის ოთახი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარიულ მოთხოვნებს.

5. ლოგოპედიური პუნქტი შედის იმ სკოლის კლასების რიცხვში, რომელთანაც იგი არსებობს. სკოლის დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა, როგორც ლოგოპედიური კაბინეტის მოწყობაზე, ისე მასში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე.

6. ლოგოპედიური პუნქტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური მოწყობილობით (იხ. დანართი № 3).

7. ლოგოპედიური პუნქტის გამგის ხელფასის გამოანგარიშება ხდება განათლების მუშაკთა ხელფასის გამოანგარიშების წესის შესახებ არსებული ინსტრუქციის მე-14 პარაგრაფის მიხედვით.

8. ამ დებულების მიღებასთან დაკავშირებით 1964 წლის დებულება საშუალო სკოლასთან არსებული ლოგოპედიური პუნქტის შესახებ გაუქმებულად ითვლება.

## დანართი № I

ჟურნალი № I

### მეტყველების ნაკლის მქონე მოსწავლეთა სია
(ივსება ლოგოპედის მიერ მოსწავლეთა გამოკვლევისას)

ა) გვარი, სახელი

ბ) სკოლა

გ) კლასი

დ) ბინის მისამართი

ე) გამოკვლევის თარიღი

ვ) მეტყველების ნაკლი

ზ) წარმატება მშობლიურ ენაში (გამოკვლევის მომენტში)

თ) ჩატარებული ღონისძიებები (მიღებულია ლოგოპედიურ პუნქტში, მიეცა მითითება, კონსულტაცია მასწავლებელს ან მშობელს და სხვა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი № 2

### ლოგოპედიურ პუნქტში მიღებულ მოსწავლეთა სია

ა) № რიგზე
ბ) ჟურნალი № 1 მიხედვით
გ) გვარი, სახელი
დ) სკოლა
ე) კლასი
ვ) პუნქტში ჩარიცხვის თარიღი
ზ) მეტყველების ნაკლი
თ) მეცადინეობის დამთავრების თარიღი
ი) მეტყველების, წერისა და კითხვის მდგომარეობა

## დანართი № 2

ჟურნალი № 3

### პუნქტიდან გამოშვების მომენტში
(ლოგოპედის, მასწავლებლისა და მშობლის ხელმოწერა)

### ლოგოპედიური მუშაობის აღრიცხვა

(ივსება ყოველწლიურად ახალი ჟურნალი, მისი პირველი ნაწილი სამუშაო გეგმისათვის არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე ნაწილი ყოველდღიური მუშაობის აღრიცხვისათვის).

### ნაწილი პირველი, მუშაობის აგეგმვა

ა) № რიგზე
ბ) გვარი, სახელი
გ) სკოლა
დ) კლასი, ცვლა
ე) მეტყველების ნაკლი
ვ) ჯგუფურ-ინდივიდუალური მუშაობის გეგმა ნაკლის გამოსასწორებლად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ) ლოგოპედიური მუშაობის შედეგი

**ნაწილი მეორე, ყოველდღიური მუშაობის აღრიცხვა**

ა) № რიგზე
ბ) გვარი, სახელი
გ) თარიღი (კვირის ექვსი დღე)
დ) მეცადინეობის შინაარსი
ე) შენიშვნა ჩატარებული მუშაობის შესახებ.

## ლოგოპედიური პუნქტის მოწყობილობის სია

(დანართი № 3)

1. კედლის სარკე ლოგოპედიური მეცადინეობისათვის. 50×100 1 ც.
2. მაგიდის სარკე . . . . . . . . 60×100 1 ც.
3. სარკე ინდივიდუალური მუშაობისათვის . 9×12 30 ც.
4. ლოგოპედიური ზონდები, შპატელი, სპირტი, ბამბა
5. პირსაბანი, საპონი, პირსახოცი . . . . . . . 1 ც.
6. კედლის საათი . . . . . . 1 ც.
7. მაგიდის ლამპები . . . . . . 1 ც.
8. ხალათები . . . . . . . 2 ც.
9. საკლასო დაფა . . . . . . 1 ც.
10. კარადები . . . . . . . . . 2 ც.
11. ლაბორატორიული მაგიდები . . . . . . 4 ც.
12. საკანცელარიო მაგიდა . . . . . . . 1 ც.
13. სკამები . . . . . . . 12 ც.
14. მაგნიტოფონი . . . . . . . 1 ც.
15. მოძრავი ანბანი . . . . . . 10 ც.
16. სპეციალური ცხრილები და სურათები (ცალკეულ ბგერებზე).
17. თვალსაჩინო მასალა მეტყველების განვითარებისათვის (საგნობრივ-სიუჟეტური, სერიული სურათები და სხვ.)
18. სამაგიდო სათამაშოები (სხვადასხვა ლოტო, კუბიკები, მოზაიკა, სპეციალური ლოტო და სხვ.) და სათამაშოები (ავეჯი, ჭურჭელი, ცხოველები, ფრინველები და სხვ.).
19. მშობლიური ენის სახელმძღვანელოები დაწყებითი კლასებისათვის, მეთოდური და სასწავლო მოწყობილობა, საბავშვო ლიტერატურა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კედლის სარკის თავზე უნდა იყოს ელექტროგანათება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 3 თებერვლის ბრძანება № 49

### სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილა რა საკითხი „სკკპ ცკ-სა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 თებერვლის შესაბამისი დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღინიშნა, რომ ზემოთდასახელებული დადგენილებების შესრულების მიზნით გაწეულია ნაყოფიერი მუშაობა.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კონტინგენტმა მილიონს გადააჭარბა. X კლასებიდან ყოველწლიურმა გამოშვებამ მიაღწია 64 ათასს. განხორციელებულია რიგი ქმედითი ღონისძიებებისა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასასვლელად, 8 კლასდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი (96%) სწავლას განაგრძობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მაღალ კლასებში, ტექნიკუმებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, სკოლების გამსხვილებისა და ახალი მოსწავლე ადგილების საექსპლოატაციოდ გაცემით ყოველწლიურად იზრდება საშუალო სკოლების რაოდენობა; მარტო მიმდინარე 1971—1972 სასწავლო წლისათვის საშუალო სკოლების რიცხვი გაიზარდა 39 ერთეულით, ხორციელდება გეგმაზომიერი გადასვლა ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე; მოსამზადებელი კლასების მოსწავლეთა კონტინგენტმა 40 ათასს მიაღწია.

მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალური შეფასების წინააღმდეგ რიგი ღონისძიებების გატარების შედეგად ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე, სკოლებში შემოღებული იქნა ფაკულტატიური კურსები

და ზოგიერთი საგნების (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, უცხო ენები) გაღრმავებული სწავლება. მთელ რიგ სკოლებში შემოღებულია ავტოსაქმის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და პროფესიულ-ტექნიკური ციკლის სხვა საგნების სწავლება, მიღწეულია განსაზღვრული წარმატებები მოსწავლეებთან კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

ქმედითი ზომები გატარდა და ტარდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში; მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა ახალი მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნა მუშაობა; მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში ჩაებნენ უმაღლესი სასწავლებლები.

განმტკიცდა სკოლების მატერიალური ბაზა: უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 150000-ზე მეტი მოსწავლის ადგილი, მარტო წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით აგებულია 177 სასკოლო შენობა; მცირეკომპლექტიანი სკოლების გამსხვილებასთან დაკავშირებით გაიშალა სასკოლო ინტერნატების მშენებლობა.

მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 თებერვლის დადგენილებათა შესრულების საქმეში ჯერ კიდევ არსებით ხარვეზებს აქვს ადგილი. 1971 წელს მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულდა მხოლოდ 98,2%-ით. გეგმა ვერ შეასრულეს გორის (99,8%, მცხეთის (99,7%), სიღნაღის (99,4%), ახმეტის (99,4%), კასპის (99,3%), ყვარლის (99,3%), წალკის (99,3%), გეგეჭკორის (98,9%), სამტრედიის (98,4%), ცხაკაიას (98,9%), თელავის (99,4%), დმანისის (98,3%), ქალაქებმა: — ზუგდიდმა (99,7%), ასსრ· რესპუბლიკამ (98,0%), ქალაქებმა: — ზუგდიდმა (99,7%), ტყიბულმა (98,4%). კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ყაზბეგის (92,8%), ბოგდანოვკის (94,4%), ამბროლაურის (94,4%) და ონის (92,9%) რაიონებში.

1970-71 სასწავლო წლის განმავლობაში დღის სკოლების 0-X კლასებიდან სხვადასხვა მიზეზით გასულია 22.023 (2,3%) მოსწავლე; განსაკუთრებით დიდია სკოლებიდან გასულთა რიცხვი ყაზბეგის (6,4%), საგარეჯოს (4,8%), ონის 4,3%), მესტიის (4,5%), ლენტეხის (4,1%), გარდაბნის (3,5%), ორჯონიკიძის (3,8%), ბოგდანოვკის (3,0%), ახალქალაქის (2,8%), ყვარლის (2,9%) რაიონების, ქ. ქ. ფო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 3 თებერვლის ბრძანება № 49

### სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილა რა საკითხი „სკკპ ცკ-სა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 თებერვლის შესაბამისი დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღინიშნა, რომ ზემოთდასახელებული დადგენილებების შესრულების მიზნით გაწეულია ნაყოფიერი მუშაობა.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კონტინგენტმა მილიონს გადააჭარბა. X კლასებიდან ყოველწლიურმა გამოშვებამ მიაღწია 64 ათასს. განხორციელებულია რიგი ქმედითი ღონისძიებებისა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასასვლელად, 8 კლასდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი (96%) სწავლას განაგრძობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მაღალ კლასებში, ტექნიკუმებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, სკოლების გამსხვილებისა და ახალი მოსწავლე ადგილების საექსპლოატაციოდ გაცემით ყოველწლიურად იზრდება საშუალო სკოლების რაოდენობა; მარტო მიმდინარე 1971—1972 სასწავლო წლისათვის საშუალო სკოლების რიცხვი გაიზარდა 39 ერთეულით, ხორციელდება გეგმაზომიერი გადასვლა ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე; მოსამზადებელი კლასების მოსწავლეთა კონტინგენტმა 40 ათასს მიაღწია.

მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალური შეფასების წინააღმდეგ რიგი ღონისძიებების გატარების შედეგად ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე, სკოლებში შემოღებული იქნა ფაკულტატიური კურსები

და ზოგიერთი საგნების (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, უცხო ენები) გაღრმავებული სწავლება. მთელ რიგ სკოლებში შემოღებულია ავტოსაქმის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და პოლიტექნიკური ციკლის სხვა საგნების სწავლება, მიღწეულია განსაზღვრული წარმატებები მოსწავლეებთან კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

ქმედითი ზომები გატარდა და ტარდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში; მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა ახალი მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნა მუშაობა; მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში ჩაებნენ უმაღლესი სასწავლებლები.

განმტკიცდა სკოლების მატერიალური ბაზა: უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 150000-ზე მეტი მოსწავლის ადგილი, მარტო წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით აგებულია 177 სასკოლო შენობა; მცირეკომპლექტიანი სკოლების გამსხვილებასთან დაკავშირებით გაიშალა სასკოლო ინტერნატების მშენებლობა.

მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 თებერვლის დადგენილებათა შესრულების საქმეში ჯერ კიდევ არსებით ხარვეზებს აქვს ადგილი. 1971 წელს მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულდა მხოლოდ 98,2%-ით. გეგმა ვერ შეასრულეს გორის (99,8%, მცხეთის (99,7%), სიღნაღის (99,4%), ახმეტის (99,4%), კასპის (99,3%), ყვარლის (99,3%), წალკის (99,3%), გეგეჭკორის (98,9%), სამტრედიის (98,4%), ცხაკაიას (98,9%), თელავის (99,4%), დმანისის (98,3%), ქალაქებმა: — ზუგდიდმა (99,7%), ასსრ რესპუბლიკამ (98,0%), ქალაქებმა: — ზუგდიდმა (99,7%), ტყიბულმა (98,4%). კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ყაზბეგის (92,8%), ბოგდანოვკის (94,4%), ამბროლაურის (94,4%) და ონის (92,9%) რაიონებში.

1970-71 სასწავლო წლის განმავლობაში დღის სკოლების 0-X კლასებიდან სხვადასხვა მიზეზით გასულია 22.023 (2,3%) მოსწავლე; განსაკუთრებით დიდია სკოლებიდან გასულთა რიცხვი ყაზბეგის (6,4%), საგარეჯოს (4,8%), ონის 4,3%), მესტიის (4,5%), ლენტეხის (4,1%), გარდაბნის (3,5%), ორჯონიკიძის (3,8%), ბოგდანოვკის (3,0%), ახალქალაქის (2,8%), ყვარლის (2,9%) რაიონების, ქ. ქ. ფო-

თის (2,8%), რუსთავის (2,7%), აფხაზეთის ასსრ (2,8%) სკოლებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესებისა, სერიოზულ ხარვეზებს აქვს ადგილი საყოველთაო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების საქმეში; მოსწავლეთა დიდი ნაწილი ტოვებს სკოლას 8 კლასის დამთავრებამდე; 97,769 მოსწავლიდან, რომლებიც მიღებული იქნენ პირველ კლასში 1963—1964 სასწავლო წელს, რვა კლასი დაამთავრეს 1971 წელს 81.302-მა (83,2%); I—VIII კლასებიდან მოსწავლეთა გასვლის შედარებით მაღალი პროცენტები აქვთ თიანეთის (34,3%), ლენტეხის (30,6%), ორჯონიკიძის (30,2%), გეგეჭკორის (30,0%), მესტიის (27,0%), მარნეულის (28,8%), ონის 26,5%), რაიონებს და აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკას (25,7%).

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში სერიოზული ხარვეზების შედეგად ჯერ კიდევ ბევრი მოსწავლე რჩება იმავე კლასში მეორე წელს. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებიან: აფხაზეთის ასსრ (5,5%), აჭარის ასსრ (5,4%), სამხრეთ-ოსეთის ა/ო (4,65%), ქ. ჭიათურის (6,4%), ლენტეხის (5,2%), თეთრიწყაროს (5,0%), გარდაბნის (5,2%), მესტიის (4,5%), ასპინძის (4,5%), ადიგენის (4,3%), ონის (4,2%), საჩხერის (4,0%) და სხვა რაიონები.

ამასთანავე, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასების შემთხვევები: უკანასკნელ წლებში ასეთი ფაქტები გამოვლინებული იქნა ოჩამჩირის, ლანჩხუთის, ყვარლის, ონის, ცხინვალის, თერჯოლის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, წალენჯიხის, დმანისის, თეთრიწყაროს, თიანეთის რაიონების, ქალაქების: ჭიათურის, თბილისის, ტყიბულის, ქუთაისის, სოხუმის, ზუგდიდის სკოლებში. ზოგიერთ შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა პირდაპირი მოყტუების ფაქტებს (თერჯოლისა და ჩხოროწყუს რაიონებ).

ყველა ეს ხარვეზი დიდადაა განპირობებული მასწავლებელთა ნაწილის დაბალი პროფესიული დონით ან უპასუხისმგებლობით და სუსტი ხელმძღვანელობითა და კონტროლით სკოლების დირექციებისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მხრივ. კერძოდ, უკონტროლობისა და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ჩაშლისათვის განათლების სამინისტროს კოლეგიას მოუხდა მკაცრად დაესაჯა ყვარლის რაიონის ჭიკაანის (ა. ბექანიშვილი), საბუის (ნ. რობაქიძე), გავაზის (მ. მეტრეველი), ცხინვალის რაიონის ერედვის (ა. არბოლიშვილი), ჭიათურის რაიონის სვერის (რ. ბიწაძე), ჭიათურის №1 (რ. მოდებაძე), ლანჩხუთის №1 (გ. ჩხაიძე), №3 (ი. მიქელაძე), ლანჩხუ-

თის რაიონის ნიგოითის საშუალო (გ. ჩხეიძე) და 8 წლიანი (შ. მარტუაშვილი), თეთრიწყაროს რაიონის დაგეთხაჩინის (ს. შამირხანი), წინწყაროს (მ. საკალიძე), თიანეთის რაიონის ტუფურების (შ. [illegible]ლაური), სიმონიანთხევის (კ. პატურაშვილი), ნაქალაქარის (გ. არჩემაშვილი), ღულელების (პ. საღინაშვილი), ონის რაიონის გლოლის (ა. გრიგოლიშვილი), კვაშხიეთის (ჯ. ბერიშვილი), ქვედის 8-წლიანი (ლ. მაისურაძე) სკოლების დირექტორები.

სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ცდილობს აიმაღლოს თავისი პროფესიული დონე; გრძნობს რა უკონტროლობას, მუშაობს ძველებურად, არ იყენებს მუშაობაში ახალ მეთოდებს, ტექნიკურ საშუალებებს და თვალსაჩინოებას, რის გამოც მათი მოსწავლეები დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ. ასეთ მასწავლებლებს, კერძოდ, მიეკუთვნებიან: მ. ციციაშვილი, ნ. ლობჟანიძე, მ. კობერიძე (ონის რაიონის კვაშხიეთის საშუალო სკოლა), მ. ბერიშვილი, მ. გუგეშაშვილი, გ. ჯიჯიშვილი (ონის რაიონის გლოლის საშუალო სკოლა), შ. გრიგალაშვილი, ტ. კვინიკაძე, პ. ცუცქირიძე, შ. ბიწაძე, მ. ცუცქირიძე (ჭიათურის რაიონის სვერის საშუალო სკოლა), ნ. ტაბატაძე, დ. ქიოშვილი, ვ. ბარელაძე, მ. შერგელაშვილი (ჭიათურის № 1 საშუალო სკოლა), პ. გოგილაძე, ლ. გველესიანი (ჭიათურის № 2 საშუალო სკოლა), ბ. მიქავა (წალენჯიხის რაიონის ჯგალის საშუალო სკოლა), რ. წურწუმია (იმავე რაიონის ჯვარის საშუალო სკოლა), ც. ჯიბლაძე, ე. ხუზაშვილი, ი. თავდიშვილი (ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის საშუალო სკოლა), კ. სანამიანი, ზ. გოგიჩაიშვილი, ვ. ასრათაშვილი (თეთრიწყაროს რაიონის დიდი თონეთის საშუალო სკოლა), ვ. თილიევი, ვ. დიმოევი იმავე რაიონის წინწყაროს საშუალო სკოლა), კ. სისაური, ს. მამულაიშვილი, ს. თანიაშვილი, ნ. ცაცაბაშვილი (თიანეთის რაიონის ტუშურების საშუალო სკოლა), თ. გვარიმაშვილი, ზ. კენკიშვილი, ლ. სომხიშვილი, რ. ბოიაშვილი, ნ. ხიბლაშვილი, ვ. ჯამაგიძე (იმავე რაიონის ხევსურიანთსოფლის საშუალო სკოლა), ბ. ბერუაშვილი, ტ. ფუხაევი, ნ. მაისურაძე, ვ. ხეთაგური, ი. ქელეხსაშვილი (ცხინვალის რაიონის ერედვის საშუალო სკოლა) და სხვები.

განსაზღვრული ხარვეზებია აღმზრდელობითი მუშაობის დარგშიაც, რის გამო ჯერ კიდევ აქვს ადგილი მოსწავლეთა მიერ კანონის დარღვევის ფაქტებს.

რიგ სკოლებში არასაკმარისი ყურადღება ექცევა მოსწავლეების მომზადებას ცხოვრებისათვის, მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ-

სასარგებლო შრომაში და, განსაკუთრებით ქალაქების სკოლებში, პროფესიული ორიენტაციის საქმეს.

ძირეულად უნდა გარდაქმნას მუშაობა გამომცემლობა „განათლება“-მ; ჯერ კიდევ დაბალია რიგი სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული გაფორმების დონე, გამომცემლობამ ვერ შესძლო დროულად მოეწოდებინა სასწავლო პროგრამები, მცირე რაოდენობით ისტამბება მეთოდური ლიტერატურა.

მატერიალური ბაზის შესამჩნევად გაუმჯობესების მიუხედავად, ბევრი სკოლა მუშაობს ავარიულ, შეგუებულ და დექირავებულ შენობებში. არ სრულდება სასკოლო ინტერნატების და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმები, იგრძნობა სასკოლო მოწყობილობის მკვეთრი ნაკლებობა, ძალიან დაბალია სასკოლო ავეჯის ხარისხი.

ზოგ რაიონში არ იგრძნობა მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო-კომუნალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა, რაც მათ ხშირ დენადობას იწვევს.

საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლას ხელს უშლის ისიც, რომ პროფტექნიკურ სასწავლებლებში დასაქმებულ მოზარდთა ნაწილი არ არის ჩაბმული საღამოს სწავლებაში; საღამოს სკოლების კონტინგენტის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 92%-ით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების, განათლების ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელთა მოღვაწეობის გაუმჯობესების მიზნით;

ბ) მიაღწიონ მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმების განუხრელ შესრულებას, მიიღონ უმკაცრესი ზომები საყოველთაო რვაწლიანი განათლების კანონის დამრღვევთა მიმართ; გააძლიერონ განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების დირექტორების პირადი პასუხისმგებლობა ამ საქმეში;

გ) მიიღონ საჭირო ზომები მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის, არ დაუშვან მოზარდების გასვლა სკოლიდან არასაპატიო

მიზეზით, მიაღწიონ ადრე სკოლიდან განთესილების სწავლებაში ჩაბმას, მოაწესრიგონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა, დაამყარონ ამ საქმეში მჭიდრო კავშირი ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის აღმოფხვრას, ამასთანავე იბრძოლონ მეორეწლიანობასთან, როგორც ბავშვების სკოლიდან გასვლის ძირითად მიზეზთან;

ე) გააუმჯობესონ მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფორიენტაციის სისტემა, მუდმივი ყურადღების ქვეშ იყოლიონ გაღრმავებული სწავლების ჯგუფები, მოაწესრიგონ ფაკულტატივის სწორი და ეფექტური გამოყენება, სისტემატურად შეამოწმონ და ყოველდღიური დახმარება გაუწიონ სკოლებს ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლის საქმეში;

ვ) სკოლების მუშაობაში ფართოდ დანერგონ სწავლების ტექნიკური საშუალებები, მიიღონ ზომები ახალი ტექნიკითა და თვალსაჩინო მასალებით სკოლების დაკომპლექტებისათვის;

ზ) განუხრელად აამაღლონ მასწავლებელთა ოსტატობა; მიიღონ გადამჭრელი ზომები იმ პედაგოგთა მიმართ, რომლებიც პროფესიული უვარგისობის გამო, სამუშაოდან განთავისუფლებას იმსახურებენ, ამასთანავე მიაღწიონ პედაგოგიური კადრების დენადობის ლიკვიდაციას, მკაცრი კონტროლი დააწესონ მასწავლებელთათვის მთავრობის მიერ დადგენილი შეღავათების განხორციელებაზე.

თ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სასკოლო შენობების რეკონსტრუქციას და მათ მაგიერ ახალის მშენებლობას;

ი) მიიღონ საჭირო ზომები სასკოლო ინტერნატებში ნორმალური პირობების შესაქმნელად;

კ) გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა მშობლებსა და მოსწავლეებს შორის, მიაღწიონ მოზარდთა მიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტების სრულ ლიკვიდაციას;

ლ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პროფტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტებას იმ მოზარდებით, რომლებმაც 8 კლასი დაამთავრეს, მიიღონ ზომები, რათა პროფტექნიკური სასწავლებლების არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს ზოგადსაგანმანათლებლო სადამოს (ცვლის) სკოლაში სწავლის გარეშე.

2. დაისვას საკითხი გამომცემლობა „განათლება"-ს წინაშე (ამხ. ხ. ბერულავა), მიიღოს სასწრაფო ზომები სახელმძღვანელოების,

პროგრამების, მეთოდური ლიტერატურისა და სასკოლო დოკუმენტაციის დროულად გამოცემისათვის, სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული გაფორმების დონის ამაღლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საღამოს (დაუსწრებელი) სწავლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) გაატაროს მაქსიმალური ღონისძიებები იმ მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმისათვის, რომელსაც არა აქვს რვაწლიანი ან საშუალო განათლება და საღამოს (დაუსწრებელი) სკოლების კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად.

4. მიღებული იქნას ცნობად, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე განათლების სამინისტრომ დასვა საკითხი და წარადგინა სათანადო წინადადებები — შეიქმნას განათლების სამინისტროსთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მეთოდური კაბინეტი და გადიდდეს ასიგნობები იმ მოსწავლეთა კვებაზე, რომლებიც სასკოლო ინტერნატებში ცხოვრობენ.

5. ეს ბრძანება განხილული იქნეს ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების კოლეგიის, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა საბჭოების სხდომებზე და დასახული იქნეს კონკრეტული ღონისძიებები მასში აღნიშნული ხარვეზების სალიკვიდაციოდ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 14 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი — **თ. ლაშქარაშვილი**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 8 თებერვლის ბრძანება № 57

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ქ. ფოთის, ლაგოდეხისა და წალკის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX და X კლასებში ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქ. ფოთის, ლაგოდეხისა და წალკის რაიონების ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IX და X კლასებში ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული; სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სკოლები ძირითადად თავის დროზე იქნა მომარაგებული; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მეშვეობით 1970 წლიდან ქიმიის ორკვირიანი კურსები გაიარა 1026 მასწავლებელმა. მასწავლებელთა გადამზადების საქმეში კარგი მუშაობა ჩაატარეს ქუთაისის, გორის, ბათუმის, სოხუმისა და ცხინვალის პედინსტიტუტებმა.

მასწავლებელთა ახალი პროგრამების შესაბამისად მომზადების საქმეს კარგად ხელმძღვანელობს ქ. ფოთის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტი (გამგე დ. ხომერიკი), კაბინეტი მდიდარია მეთოდური ლიტერატურით თვალსაჩინო ხელსაწყოებითა და მასალებით, აქვს ფილმოთეკა, მასწავლებლები სისტემატურად ღებულობენ ინდივიდუალურ კონსულტაციას, კვირაში ერთჯერ წარმოებს სექციური მუშაობა გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, ტარდება ლექციები ბიოლოგიური მეცნიერების უახლეს მიღწევებზე.

შემოწმებული სკოლების ერთი ნაწილი მომზადებული აღმოჩნდა ახალ პროგრამებზე გადასვლისათვის. მათ გაითვალისწინეს, რომ ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების მაღალ დონეზე დაყენება შეიძლება კაბინეტების მატერიალური ბაზის განმტკიცების, ქიმიური ექსპერიმენტისა და თვალსაჩინოების სწავლებაში ფართოდ დანერგვის პირობებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. ფოთის პირველი საშუალო სკო-

ლი (დირექტორი ნ. ქოიავა). მასწავლებელმა თ. ჭოჭუამ მოაწყო ქიმიის კაბინეტი, რომელსაც ამჟამად 4 ოთახი უჭირავს, კაბინეტი მდიდარია რეაქტივებით, ქიმიური ჭურჭლეულით, მოსწავლეთა [illegible] ნაკეთი ხელსაწყოებით. მასწავლებელი მაქსიმალურად იყენებს ტექნიკურ საშუალებებს და ატარებს ყველა სადემონსტრაციო ცდას და პრაქტიკულ მეცადინეობას, ასევე კარგად არის მოწყობილი ბიოლოგიის კაბინეტი (მასწ. გ. ჯულელი). ამ სკოლის მოსწავლეთა ცოდნა ქიმიასა და ბიოლოგიაში კარგია.

კარგად ასწავლის ქიმიას ქ. ფოთის მე-4 რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი ტ. მანუკიანი, რომელიც ფლობს საგნის სწავლების მოწინავე მეთოდებს, ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას, ატარებს საკონტროლო წერებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ საკითხების შესწავლას, რომლებიც ახალი პროგრამებით არის გათვალისწინებული; დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას გაკვეთილებზე.

თვალსაჩინო წარმატებები აქვთ ბიოლოგიის სწავლებაში ქ. ფოთის 1-ლი, მე-2, მე-3, ლაგოდეხის რაიონის შრომის, ორჯონიკიძის, ქ. ლაგოდეხის ქართული, წალკის მე-2, წალკის რაიონის ხრამჰესის საშუალო სკოლების მასწავლებლებს გ. ჯულელს, დ. ხომერიკს, ა. კონიაევას, ზ. სულაძეს, თ. შუბითიძეს, ლ. მჭედლიანაშვილს, ს. კარელოვას, ლ. აფისოვას, რომლებიც კარგად ფლობენ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ ცდებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს, ნერგავენ სიახლეს სწავლებაში, რითაც აღწევენ მოსწავლეთა დამაკმაყოფილებელ ცოდნას.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, ქიმიის და ბიოლოგიის სწავლებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ლაგოდეხისა და წალკის რაიონების (განათლების განყოფილებათა გამგეები ა. ბეგიაშვილი და ელ. კარსლიევა) არც ერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის მოწყობილი ქიმიის კაბინეტებში ამწოვი კარადები; ბევრ სკოლას კაბინეტებში არა აქვს აუცილებელი ტექნიკური საშუალებები.

ძალზე მძიმე მდგომარეობაშია ქიმიის კაბინეტი წალკის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ტერსენოვი, მასწ. ი. ტერსენოვი). თუმცა სკოლას ქიმიური ჭურჭელი და რეაქტივები საკმარისი რაოდენობით აქვს, მაგრამ ისინი სავსებით უყურადღებოდ არის მიტოვებული; დარღვეულია მჟავეებისა და სხვა ფეთქებად, აღვილაალებად და მომწამლავ ნივთიერებათა შენახვისა და დაცვის წესები. კაბინეტ-

ში არ არის მოსწავლეთა უსაფრთხო მუშაობის წესები, პირველი სამედიცინო დახმარების საშუალებები, არ წარმოებს ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა. მსგავსი მდგომარეობაა ბეშთაშენის საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. გაშიბაიაზოვი, მასწ. პ. კარიბოვი), სადაც ძალზე მცირე რაოდენობის რეაქტივები და ჭურჭელია, მაგრამ ისიც მოუვლელი და დამტვრეულია. ღარიბია ქიმიის კაბინეტები ლაგოდეხის რაიონის შრომის, აფენის, წალკის რაიონის გუმბათის, ხრამჰესის, ბედიანისა და ზოგიერთ სხვა შემოწმებულ სკოლაში. მასწავლებლები ვ. ოთარაშვილი, ა. ბეშიძე, ქ. ადამოვი, ფ. ვარიდკოვი და ნ. პელივანოვი არ ზრუნავენ კაბინეტების შევსებისა და სწავლებაში მათი გამოყენებისათვის.

შემოწმებული სკოლების მეტ ნაწილს არა აქვს ბიოლოგიის კაბინეტი; ხოლო ბევრ სკოლაში სასწავლო-ტექნიკური ბაზა მეტად ღარიბია — მცირე რაოდენობით აქვთ ახალი პროგრამებით ბიოლოგიის სწავლებისათვის გათვალისწინებული ხელსაწყოები და მასალები.

დაბალ დონეზე ატარებს ქიმიის გაკვეთილებს ლაგოდეხის რაიონის, სოფელ შრომის საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. ოთარაშვილი. იგი ვერ აბამს მოსწავლეებს მუშაობაში, ნაკლებად იყენებს სწავლებაში თვალსაჩინოებას. IX კლასში მან ძალზე ნაჩქარევად ახსნა ახალი მასალა, ვერ მოასწრო საშინაო დავალების მიცემა, მთელი გაკვეთილის განმავლობაში მუშაობაში ჩაება მხოლოდ რამდენიმე მოსწავლე.

მეტად ზერელე წარმოდგენა აქვთ X კლასის მოსწავლეებს პოლიმერიზაციის რეაქციებზე, პოლიეთილენის მიღების რეაქციის მექანიზმზე. არ იცნობენ პოლიეთილენისაგან დამზადებულ ნაკეთობებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კლასში მოსწავლეები გადიან ფაკულტატიურ კურსს, მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ ორგანულ ნაერთებში ორმაგი და სამმაგი კავშირების ბუნებასა და წარმოქმნის მექანიზმზე, ნახშირბადის ატომების ელექტრონული ღრუბლების ფორმასა და სხვა საკითხებზე, რომლებიც ამჟამად მოქმედი პროგრამებით არის გათვალისწინებული.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება აფენის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ა. ბეშიძე ვერ ფლობს სადემონსტრაციო ცდების ჩატარების მეთოდებს, სათანადოდ ვერ არჩევს ნივთიერებებს ცდებისათვის, ვერ ახდენს ძველი და ახალი მასალის ერთმანეთთან ორგანულ დაკავშირებას, IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან მარილთა ჰიდროლიზი, ელექტროლიტური დისოციაცია, ვერ

არჩევენ ერთმანეთისაგან ნატრიუმისა და ამონიუმის ჰიდროჟანგების ხსნარებს და სხვ. ძალზე ლიბერალურია მისი მომთხოვნელობა მოსწავლეთა მიმართ, ამის შედეგად მოსწავლეები დაუმსახურებლად ღებულობენ მაღალ ნიშნებს.

წალკის 1-ლ საშუალო სკოლაში მეორე წელია შემოღებულია ქიმიის გაღრმავებული სწავლება. მიუხედავად ამისა, მასწავლებელი ი. ტერსენოვი სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის, წინასწარ არ ატარებს ცდებს და არ ადგენს ცდისათვის საჭირო ნივთიერებების დოზასა და კონცენტრაციას; მის მიერ დაყენებული ცდა ტოლუოლის დაჟანგვაზე უშედეგოდ დამთავრდა. ი. ტერსენოვი გაღრმავებული სწავლების კლასებში (IX[1] და X[1]) ჩვეულებრივი კლასების პროგრამითა და სახელმძღვანელოთი ასწავლის. მოსწავლეთა ცოდნა მეტად დაბალია. ბევრმა მათგანმა ვერ დაწერა პროპილენის ფორმულა; მათ არ იციან პროპილენისადმი ქლორწყალბადის მიერთების რეაქციის მექანიზმი.

ქიმიის დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს წალკის რაიონის ავრალოს, ბედიანისა და გუმბათის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, რაც იმის შედეგია, რომ მასწავლებლები ვ. ბაიბურდოვა, კ. ადამოვი და ნ. პელივანოვი ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენენ მოსწავლეთა მიმართ, არ ნერგავენ სიახლეს სწავლებაში, არ ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ სადემონსტრაციო ცდებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს; ერთფეროვნად და მოსაწყენად ატარებენ გაკვეთილებს, ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რომ ცდისეულ ნიადაგზე დააყენონ პროგრამებში ახლად შეტანილი მოსწავლეთა მიერ ძნელადდასაძლევი საკითხების სწავლება.

ბიოლოგიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი თავისი ცოდნით ვერ პასუხობს გაზრდილ პროგრამულ მოთხოვნებს, ნაკლებად ზრუნავს თეორიული ცოდნისა და მეთოდური დახელოვნების ამაღლებაზე, არ იყენებს სწავლებაში აქტიურ მეთოდებს, ტექნიკურ საშუალებებს, თვალსაჩინოებას.

ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი ქ. მოსეშვილი არ იცნობს იმ ცვლილებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ბიოლოგიის ახალი პროგრამით. სიცოცხლის წარმოშობის თეორიებს იხილავს იმ თავში, სადაც ორგანული სამყაროს განვითარებაა გაშუქებული. ახალი პროგრამით სიცოცხლის წარმოშობის საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს უჯრედის გავლის შემდეგ. მასწავლებელი უყურადღებოდ ტოვებს მოსწავლეთა მიერ დაშვე-

ბულ შეცდომებს, არ იყენებს გაკვეთილებზე თვალსაჩინოებას, მოს-
წავლეთა მომზადების დონე ძალზე დაბალია, მათ წარმოდგენა არა
აქვთ ლინეისა და ლამარკის შრომებზე და მათ დამსახურებაზე, ვერ
იძლევიან პალეონტოლოგიის განმარტებას და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელიანის (ლაგოდეხის რაიონი) საშუალო სკოლის მასწავლებელ-
მა გ. შუბითიძემ X კლასში თემა ორგანული სამყაროს განვითარების
შესახებ 11 წუთში ახსნა და საშინაო დავალებად მისცა სახელმძღვა-
ნელოში მოცემული გეოქრონოლოგიური ტაბულის შესწავლა, რო-
მელიც გაკვეთილზე უნდა ყოფილიყო გამოყენებული მოსწავლეთა
დამოუკიდებელი მუშაობისათვის. მასწავლებელი გაკვეთილებს ატა-
რებს თვალსაჩინოების გარეშე, ამის გამო დაბალია მოსწავლეთა მო-
მზადების დონე. მათ არ იციან ევოლუციის დამამტკიცებელი ფაქტე-
ბი პალეონტოლოგიიდან; არ აქვთ ნათელი წარმოდგენა ლინეის შე-
ხედულებებზე, ვერ ახერხებენ გეოლოგიური ერებისა და პერიოდე-
ბის დახასიათებას.

ნინიგორის (ლაგოდეხის რაიონის) საშუალო სკოლის მასწავლე-
ბელმა დ. ზოზიაშვილმა მეტად მცირე დრო მოანდომა IX კლასში
ახალი მასალის „ბუნებრივი გადარჩევა“ ახსნას. მან ზუსტად ვერ გან-
მარტა ბუნებრივი გადარჩევის არსი. მოსწავლეები ვერ ახერხებენ
არსებობისათვის ბრძოლის ფორმების ახსნას, არ აქვთ ზუსტი წარ-
მოდგენა სახეობასა და ჯიშებზე. სუსტად იციან საგანი X კლასის
მოსწავლეებმაც — ვერ ასახელებენ ევოლუციის დამამტკიცებელ
ფაქტებს, ვერ ახასიათებენ ჰომოლოგიურ და ანალოგიურ ორგანო-
ებს, სრულიად ვერ განმარტავენ უჯრედის აგებულების აღმოჩენის
მნიშვნელობას ორგანული სამყაროს ერთიანობის დამტკიცების სა-
ქმეში.

ლაგოდეხის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. ას-
ტვაცატუროვი სრულიად მოუმზადებლად შევიდა X კლასში. მან
ცილის ბიოსინთეზის ახსნა არ დაუკავშირა შესწავლილ მასალას ცი-
ლისა და ნუკლეინის მჟავების აგებულების შესახებ. ახსნის პროცეს-
ში უშვებდა მეცნიერულ შეცდომებს, ასე, მაგალითად — „გენი
წარმოქმნის ცილოვანი ნივთიერების განსაზღვრულ რაოდენობას“,
„ცილის სინთეზი ხდება დნმ-ს მონაკვეთზე“, და სხვ. მასწავლებლის
თხრობაში არ იყო არავითარი ლოგიკური თანმიმდევრობა, იგი სა-
კითხებს ზუნდოვნად აშუქებდა, გაკვეთილზე არ იყო გამოყენებული
თვალსაჩინო საშუალებანი. ამრიგად, კურსის ერთ-ერთი მნიშვნელო-

ვანი თემა „ცილის ბიოსინთეზი“ გაკვეთილზე არასწორად იქნა დახასიათებული.

ფორმალურ ხასიათს ატარებს მოსწავლეთა კლასგარეშე ნატურალისტური მუშაობა, IX—X კლასის მოსწავლეები სრულებით არ არიან ჩაბმული ამ მუშაობაში.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას და პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებას; არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ექსკურსიები და არ არის გამოყენებული სასწავლო-საცდელი ნაკვეთი ზოგადი ბიოლოგიის სწავლებაში.

ჯერ კიდევ არა აქვს გავლილი დახელოვნების კურსები ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით ლაგოდეხის და წალკის რაიონების ბიოლოგიის მასწავლებელთა ნახევარს.

ზოგიერთ შემოწმებულ სკოლაში ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად არის გამოწვეული იმით, რომ სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები ნაკლებად უწევენ კონტროლს მასწავლებელთა მუშაობას, სათანადო ზრუნვას არ იჩენენ კაბინეტების მოწყობილობისა და შევსებისათვის, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე იშვიათად იხილავენ ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობას, არ ამოწმებენ საკონტროლო წერების ჩატარების საქმეს, ზოგჯერ ამ მხრივ არასწორ მითითებასაც კი აძლევენ მასწავლებლებს და ნაკლებად ზრუნავენ მასწავლებელთა დახელოვნებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა:

ა) სისტემატურად იმუშაონ საკუთარი მეცნიერული და მეთოდური დახელოვნების დონის ამაღლებაზე; თვალსაჩინო საშუალებების, სადემონსტრაციო ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოების სწავლებაში ფართოდ გამოყენებისა, სასწავლო ექსკურსიების მოწყობის, მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების დანერგვისა და მათში კვლევითი უნარის განვითარების გზით მიაღწიონ თითოეული მოსწავლის ცოდნის მკვეთრად ამაღლებას;

ბ) აღმოფხვრან ფორმალიზმი სწავლებაში; მოსწავლეთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმად აქციონ მათი აზროვნების სიღრმე, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი, გაანგარიშებითი და ექსპერიმენტული ამოცანების დამოუკიდებლად

გადაწყვეტის უნარჩვევები, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა კვლევითი ინტერესის სრულყოფას;

გ) გაზარდონ კლასგარეშე მუშაობის ხარისხი; ფართოდ გამოიყენონ სწავლებაში წრეობრივი მუშაობა; მრავალფეროვანი გახადონ წრეების თემატიკა; დანერგონ სკოლებში ვიქტორინების, ოლიმპიადების, შემოქმედებითი თეორიული კონფერენციების ჩატარება;

დ) ხშირად და მაღალ დონეზე ჩაატარონ სასწავლო ექსკურსიები ადგილობრივ და რესპუბლიკის ქიმიურ საწარმოებში, ტყეებში პარკებში, ზოოლოგიურ პარკში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინერალური სასუქების საწყობებში; ექსკურსიების დროს შეაგროვონ მასალები კაბინეტების შესავსებად; ღრმა ანალიზი გაუკეთონ ჩატარებული ექსკურსიის შედეგებს;

ე). მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების და მათი პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით ჩაატარონ საკონტროლო წერები; მოფიქრებულად შეარჩიონ წერის თემები და ამოცანები; დროულად და დაკვირვებით გაასწორონ მოსწავლეთა ნამუშევრები, შეიტანონ შეფასების ნიშნები საკლასო ჟურნალში და დადგენილი წესის შესაბამისად გაითვალისწინონ ისინი მოსწავლეთა მეოთხედური ნიშნების გამოყვანის დროს.

ვ) სრულ წესრიგში მოიყვანონ კაბინეტ-ლაბორატორიები, შეავსონ ისინი საკმარისი რაოდენობის ჭურჭლებით, რეაქტივებით, ტაბულებით, მოდელებით, ხელსაწყოებით, სველი პრეპარატებით, მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოებით; ზუსტად დაიცვან რეაქტივებისა და ხელსაწყოების ხმარების წესები; უზრუნველყონ მოსწავლეთა უსაფრთხოება კაბინეტებში მუშაობის დროს.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) გაატარონ ქმედითი ზომები ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტებისათვის შესაფერისი სათავსოების გამოსაყოფად, უზრუნველყონ კაბინეტები საჭირო ნიმუშის დგამ-ავეჯით, სათანადო ტექნიკური საშუალებებით ფანჯრების დასაბნელებელი მოწყობილობით; განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ, რათა რეაქტივების შესანახი კარადები იკეტებოდეს; მიაღწიონ ქიმიის კაბინეტის გამდინარე წყლით უზრუნველყოფას;

ბ) დაესწრონ ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა გაკვეთილებს, შეაფასონ გაკვეთილების მეცნიერული და პედაგოგიური დონე, თვალსაჩინო საშუალებათა გამოყენების, მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვის, სადემონსტრაციო

ცდების, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების, საკონტროლო წერების, განვლილი მასალის გამეორებისა და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გააძლიერონ კონტროლი ფაკულტატიური საათების მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენებაზე; გაითვალისწინონ, რომ ფაკულტატიური კურსის საათების მეტი ნაწილი უნდა ხმარდებოდეს მოსწავლეთა პრაქტიკულ ვარჯიშს; არ დაუშვან ფაკულტატიური კურსის შემოღება ქიმიასა და ბიოლოგიაში, თუ სამისოდ წინასწარ კარგად არ არის მომზადებული პირობები — სრულყოფილად აღჭურვილი კაბინეტები და მაღალკვალიფიციური მასწავლებლები.

3. სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების დონის შესამოწმებლად შეარჩიონ და გამოიყენონ მოწინავე მასწავლებლები; პერიოდულად განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობა რაიონის სკოლებში;

ბ) შეისწავლონ რაიონის (ქალაქის) სკოლების ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების დარგში არსებული მდგომარეობა და მიაღწიონ ყველა მასწავლებლის გადამზადებას.

გ) შეისწავლონ რაიონში (ქალაქში) ქიმიასა და ბიოლოგიაში გაღრმავებული სწავლების კლასებისა და სკოლების გახსნის პირობები და მასალები დასკვნისათვის წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს;

დ) ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების მიმართ გაატარონ სათანადო ადმინისტრაციული ღონისძიებები;

ე) აღნიშნული ბრძანება გააცნონ ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორს და დაავალონ მათ მისი განხილვა პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

4. წალკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ელ. კარსლიევამ შეისწავლოს წალკის 1-ლი საშუალო სკოლის IX-X კლასებში ქიმიის სწავლების მდგომარეობა და თუ მუშაობა ძირფესვიანად არ იქნება გარდაქმნილი, მომავალი 1972-1973 სასწავლო წლიდან გააუქმოს ამ სკოლაში ფაკულტატივი ქიმიაში.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ უზრუნველყოს ქიმიასა და ბიოლოგიაში აუცილებელი მეთოდური ლიტერატურის რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა.

6. მეთოდიკის განყოფილებამ (ვ. ცაავა) მოამზადოს და სამინისტროს კოლეგიას წარუდგინოს ქიმიისა და ბიოლოგიის გაღრმავებული სწავლების კლასებისა და სკოლების სასწავლო გეგმები 1972—1973 სასწავლო წლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (გ. საყვარელიძე) 1972—1973 სასწავლო წლისათვის მოამზადოს და სამინისტროს წარუდგინოს ქიმიისა და ბიოლოგიის გაღრმავებული სწავლების პროგრამები VIII—X კლასებისათვის.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოთა საბაზო მაღაზიამ (გ. ფალავანდიშვილი) უზრუნველყოს სკოლები ქიმიის კაბინეტებისათვის საჭირო რეაქტივებით, ჭურჭლით, ხელსაწყოებით საწვავი სპირტითა და სხვა დამხმარე მასალებით.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 14 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 14 თებერვლის ბრძანება № 64

### ქ. გორის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ქ. გორის საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლებმა ვერ შესძლეს მოსწავლეთა კონტინგენტის ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულება. ნაცვლად 34 ფინანსიური კლასისა (634 მოსწავლით), ორივე საღამოს სკოლაში მუშაობს 30 კლასი 546 მოსწავლით, ე. ი. გეგმა შესრულდა 86%-ით; ეს მაშინ, როდესაც ქ. გორის წარმოება-დაწესებულებებში აღრიცხულია 16-35 წლის ასაკის 742 ახალგაზრდა, რომელთაც არა აქვთ 8 წლიანი და საშუალო განათლება.

ქ. გორის განათლების განყოფილების სამუშაო გეგმებში არაა გათვალისწინებული საღამოს სკოლებში ახალი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით მუშაობის მიმდინარეობის შემოწმება; არ არსებობს მასალა, იცავენ თუ არა სკოლები და ცალკეული საგნების მასწავლებლები ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის გრაფიკს, როგორ წარმოებს ჩათვლები, რა ღონისძიებანი ტარდება საღამოს სკოლის ახალი დებულებით გათვალისწინებულ სიახლეთა შესაბამისად.

საღამოს სკოლების დაკომპლექტებაში ორივე სკოლაში დაშვებულია არსებული წესის დარღვევები. I სკოლის მე-11 კლასში ჩარიცხულია ორი მოსწავლე ყოველგვარი საბუთისა და ნებართვის გარეშე. II სკოლის მე-7 კლასის 10 მოსწავლე გასულ წელს სასწავლო წელს დატოვებულ იქნა იმავე კლასში, სასწავლო მეცადინეობაზე გამოუცხადებლობის გამო, ისინი არც შემოწმების დროისათვის დადიოდნენ, მაგრამ მაინც ირიცხებიან მოსწავლეთა სიაში.

აღნიშნულ სკოლებში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. მოსწავლეები არასისტემატურად ესწრებიან გაკვეთილებს. შემოწმების დღეს I სკოლაში 143 მოსწავლიდან გაკვეთილებზე გამოცხადდა 52 მოსწავლე, II სკოლაში 405 მოსწავლიდან 112 მოსწავლე.

შემოწმებული გაკვეთილების ნაწილი ჩატარებულ იქნა დაბალ პედაგოგიურ მეთოდურ დონეზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ლ. გ[illegible]ტოვი და ა. სირიბეგოვი (მე-2 სკოლა) საგანს დამაკმაყოფილებლად ფლობენ, მაგრამ არ არიან დაუფლებული ამ ტიპის სკოლაში სწავლების მეთოდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს 1-ლი სკოლის რუსული ენის მასწავლებელი გ. დავითაშვილი. იგი თვითონ სუსტად ფლობს სალაპარაკო ენას და ამიტომ ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს.

დაბალია ორივე სკოლის მოსწავლეთა ცოდნის დონე მათემატიკაში. მათემატიკის მასწავლებლები ნაკლებად იცნობენ საღამოს სკოლის მუშაობის სპეციფიკურ პირობებს. (მასწავლებლები ნ. გაბიტაშვილი 1-ლი სკოლა, რ. ჯანაშვილი და ლ. ნასყიდაშვილი მე-2 სკოლა).

იმის გამო, რომ მე-2 სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლები თ. ხითარიშვილი და ტ. ჩიკოიძე არ ატარებენ პრაქტიკულ სამუშაოებს, არ ადგენენ კარტოსქემებს, არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს კონტურულ რუკებზე და ატლასებზე, მოსწავლეთა ცოდნა არადამაკმაყოფილებელია.

ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები გაკვეთილებზე ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინოებას, იშვიათად ატარებენ სადემონსტრაციო ცდებს და არასაკმარისად ახდენენ ახლად ახსნილი მასალის გაკვეთილზევე განმტკიცებას. ამის გამო მოსწავლეთა ცოდნის დონე ამ საგნებში დაბალია. (მასწავლებლები ნ. ბონდალოვა 1-ლი სკოლა, ლ. კრიხელი მე-2 სკოლა).

ცალკეული მასწავლებლები არადამაკმაყოფილებლად ატარებენ საკონტროლო წერებს, არადამაკმაყოფილებლად ასწორებენ ნაწერებს, არ იცავენ წერების ჩატარების გრაფიკს, მეტად მცირე რაოდენობით შეაქვთ საკლასო ჟურნალებში საკონტროლო წერებისა და მიმდინარე შეფასების ნიშნები (მასწ. ლ. ნასყიდაშვილი, რ. ჯანაშვილი, ნ. გაბიტაშვილი). ზოგიერთ მასწავლებელს შემოწმების დროისათვის არ ჰქონდა ჩატარებული აუცილებელი ჩათვლები.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ კლასის ხელმძღვანელები. მოუწესრიგებელია საკლასო ჟურნალები: არ არის სრულიად შევსებული დემოგრაფიული ცნობები მოსწავლეებზე, არ ხდება იმ მოსწავლეთა აღრიცხვა, რომლებიც აცდენენ გაკვეთილებს, დამუშავებუ-

ლი მასალა მთელ რიგ შემთხვევებში შეუტანელია სათანადო გრუ-ფაში. კლასის ხელმძღვანელთა სააღმზრდელო გეგმები ხშირ შემ-თხვევებში ფორმალურ ხასიათს ატარებს; არ ხდება ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა.

აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონით აიხსნება ის გარე-მოება, რომ II სკოლის ტიპიური შენობა მოუვლელია: დერეფნების, საპირფარეშოებისა და საკლასო ოთახების კედლებზე გაკეთებულია წარწერები, მერხებზე კი სხვადასხვა ნახატები და უცენზურო სიტ-ყვებია დაწერილი და დანით ამოჭრილი.

სკოლებს არა აქვთ ჩათვლების ჩატარების გრაფიკი. დიდი დარ-ღვევებით არის შეტანილი II სკოლის გაკვეთილების ცხრილში უც-ხოური ენები, მიუხედავად იმისა, რომ ასრებობს განათლების სამი-ნისტროს მითითება უცხოური ენების შემსწავლელი ჯგუფების შექ-მნისა იმ რაოდენობით, რამდენიც IX—XI კლასია, ამ სკოლის ცხრი-ლში 24 საათის ნაცვლად შეტანილია 40 საათი, რაც გამოწვეულია ჯგუფების ხელოვნური გაყოფით.

არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი სკოლების წლიური და პედსაბჭოს ნახევარწლიური სამუშაო გეგმები. II სკოლის წლი-ურ სამუშაო გეგმაში სრულიად გამოტოვებულია აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები. ასევე ფორმალურ ხასიათს ატარებს I სკოლის წლიური სამუშაო გეგმაც.

პედაგოგიური საბჭოების ოქმებში არის ენობრივი ხასიათის მრა-ვალი შეცდომა. სკოლების დირექტორები და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეები არასაკმარის ხელმძღვანელობასა და კონ-ტროლს უწევენ მასწავლებელთა საქმიანობას. I სკოლის დირექ-ტორს მ. მანჯავიძეს შემოწმების დღისათვის არ ჰქონდა მოსმენილი არც ერთი გაკვეთილი. II სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავ-ლო მუშაობის დარგში თ. ქობლიანიძე დაბალ პედაგოგიურ-მეთო-დურ დონეზე აანალიზებს მოსმენილ გაკვეთილებს.

არადამაკმაყოფილებელია მეთოდური მუშაობა, როგორც I-ლ, ასევე მე-2 სკოლაში მთელ რიგ საგნებში, რომლებშიც 3 და მეტი მასწავლებელია, არ არის შექმნილი საგნობრივი მეთოდგაერთიანე-ბანი. იმ საგნებში კი, რომლებშიც 2 და ნაკლები მასწავლებელია, მასწავლებლებს არა აქვთ დავალებული მეთოდური დახელოვნების ინდივიდუალური გეგმების შედგენა.

ქ. გორის პედაგოგიური კაბინეტი (გამგე ი. ჯამბრიშვილი) საღა-მოს სკოლების პროგრამებს არ ღებულობს და არ ანაწილებს. კაბი-

ნეტში აღმოჩნდა მხოლოდ 2 ცალი ქიმიის პროგრამა. საღამოს სკოლების მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდგაერთიანებანი შექმნილია მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურისა და მათემატიკის მასწავლებელთათვის. აღნიშნულ მეთოდგაერთიანებათა დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი ახალი პროგრამებით სწავლების შესახებ.

დავსძენ, რომ 1966 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ დამაკმაყოფილებლად სცნო ქ. გორის საღამოს II სკოლის მუშაობა, ხოლო I საღამოს სკოლის დირექტორის მ. მანჯავიძის ხელმძღვანელობა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია. განვლილ პერიოდში II სკოლამ გააუარესა მუშაობა, ხოლო I სკოლამ პრაქტიკულად არაფერი გააკეთა არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის გამო ქ. გორის საღამოს I საშუალო სკოლის დირექტორს მ. მანჯავიძეს გამოეცხადოს საყვედური.

2. სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობის შესუსტების გამო ქ. გორის საღამოს II სკოლის დირექტორს აკ. გოდერძიშვილს მიეთითოს.

3. აღინიშნოს ქ. გორის სახალხო განათლების განყოფილების სუსტი ხელმძღვანელობა და კონტროლი საღამოს სკოლებისადმი.

4. გორის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ვ. ზექალაშვილი) მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; მიმდინარე წლის 1 ივლისამდე მოახსენოს განათლების სამინისტროს მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

5. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) ზედამხედველობა დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 4 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 17 თებერვლის ბრძანება № 74

### ქ. თბილისისა და გურჯაანის, ცხაკაიასა და წყალტუბოს რაიონების ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IV კლასებში ახალი პროგრამით მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ რიგი სკოლების IV კლასებში მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მათემატიკის სწავლებას თანმიმდევრულად წარმართავს ახალი პროგრამების მოთხოვნათა შესაბამისად. ამ მხრივ კარგი მუშაობით გამოირჩევიან ნ. დოთიაშვილი, ქ. ლაგვილავა (თბილისის 31-ე საშ. სკოლა), ნ. ელბაქიძე (წყალტუბოს მე-2 საშ. სკოლა), უ. ჯიქია (წყალტუბოს მე-3 საშ. სკოლა), ა. ზადოროჟნაია (წყალტუბოს რუსული საშ. სკოლა) და ლ. სედოვა (ფარცხანაყანევის საშ. სკოლა). ეს მასწავლებლები ახერხებენ ახალი პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სიახლეები — სიმრავლის, უტოლობის ცნებები, ამოცანების ამოხსნა გამოსახულებისა და განტოლების შედგენის მეთოდით გასაგები გახადონ მოსწავლეებისათვის და სათანადო შედეგსაც აღწევენ; ისინი ყოველდღიურად მუშაობენ თავის თავზე, ყოველი გაკვეთილისათვის სერიოზულად ემზადებიან, იცავენ მათემატიკური მეტყველების სიზუსტეს და სხვ. მაგრამ ზოგიერთი მასწავლებელი ჯერ კიდევ სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება თავის მოვალეობას — არ ემზადება გაკვეთილისათვის, ნაკლებად იყენებს თვალსაჩინო საშუალებებს, საფუძვლიანად არა აქვს შესწავლილი ახალი სახელმძღვანელო, არ ატარებს კვირაში ერთხელ 20 წუთიან საკონტროლო წერით სამუშაოებს და სხვ. ასეთი მასწავლებლებია: ლ. მენაბდე (თბილისის მე-60 საშ. სკოლა). ი. სეხნიაშვილი (თბილისის 52-ე საშ. სკოლა), ალ. ხომერიკი (თბილისის მე-18 საშ. სკოლა), მ. ჯამატაშვილი (გურჯაანის რაიონის, ვეჯინის საშ. სკოლა), ტ. მგალობლიშვილი (ცხაკაიას მე-2 საშ. სკოლა), გ. ვარდანიძე (წყალტუბოს 1-ლი საშ. სკოლა), მ. კოზლოვა (წყალტუბოს რუსული საშ. სკოლა), ჯ. ფხაკაძე (წყალტუბოს მე-3 საშ. სკოლა), ლ. ჯიქია (სოფ. წყალტუბოს საშ. სკოლა), მ. თევდორაძე

(მუხიანის საშ. სკოლა), ე. ხურცია (ცხაკაიას მე-5 საშ. სკოლა), ბ/ სარია (ცხაკაიას რ-ნის, ნოსირის საშ. სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების დირექტორებმა:

ა) სისტემატურად შეამოწმონ მათემატიკის მასწავლებელთა გაკვეთილის გეგმები, ხშირად დაესწრონ მათ გაკვეთილებს და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი მათემატიკის სწავლების დონის ამაღლებისათვის;

ბ) დააწესონ მტკიცე ზედამხედველობა ნორმით დადგენილი საკონტროლო წერითი სამუშაოების ჩატარებაზე;

გ) მათემატიკაში მეთოდური კომისიის მთავარ ამოცანად აქციონ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიერ ყოველი ახალი მასალის შეთვისებას ძირითადად გაკვეთილებზე;

დ) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანებისა და თანდართული მოხსენებითი ბარათის განხილვა სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა თათბირზე და მიიღონ საჭირო ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. მათემატიკის მასწავლებლებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი მოსწავლეთა საშინაო დავალებების შესრულებაზე, სისტემატურად აწარმოონ საშინაო დავალებათა რვეულების გასწორება;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ ზეპირი ანგარიშის სწავლება, სავალდებულოდ მიიჩნიონ გამოსახულებისა და განტოლების შედგენის მეთოდით ამოცანების ამოხსნა, სისტემატურად აწარმოონ ამოცანათა ამოხსნის შემოწმება;

გ) გეომეტრიული მასალის შესწავლისას საჭირო ყურადღება მიაქციონ ნახაზების ზუსტად და სუფთად შესრულებას.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) სათანადო ღონისძიებანი დასახოს მათემატიკის მასწავლებელთა დახელოვნების საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით.

4. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) შეისწავლოს მათემატიკის მოწინავე მასწავლებელთა მუშაობა და ფართოდ განაზოგადოს მათი გამოცდილება.

5. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ (ამხ. გრ. საჯაია) რედაქციებმა სისტემატურად მოათავსონ მეთოდური ხასიათის წერილები IV კლასში მათემატიკის სწავლების აქტუალურ საკითხებზე.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) სამუშაო გეგმით გაითვალისწინოს მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესწავლა, გამოკვლევის შედეგების განზოგადება და სკოლებამდე დაყვანა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 14 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

**თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 18 თებერვლის ბრძანება № 80

### ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა გაშვილების, პატრონირებისა და მეურვეობის მდგომარეობის შესახებ

საკითხის ადგილებზე შემოწმებამ ცხადყო რომ, ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონების განათლების განყოფილებები (გამგეები: ამხ. ამხ. ბ. ახვლედიანი, ვ. თამაზაშვილი, პ. გზირიშვილი) გარკვეულ ყურადღებას უთმობენ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა გაშვილების, პატრონირებისა და მეურვეობა-მზრუნველობის საქმეს.

1971 წლის ნოემბრის მდგომარეობით ახალციხის რაიონის განათლების განყოფილებას აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი 35 უდედმამო და უზედამხედველო ბავშვი, აქედან პატრონატზე ირიცხება 3, გაშვილებულია —21, ხოლო მეურვეობა დაწესებულია 11 ბავშვზე. ასპინძის რაიონში 20 უდედმამო ბავშვიდან პატრონატზეა 7, გაშვილებულია—13. ადიგენის რაიონში 16 უდედმამოდან პატრონირებულია—3 და გაშვილებულია 13 ბავშვი.

მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით განათლების განყოფილებებს გამოყოფილი ჰყავთ სასკოლო ინსპექტორები, რომელთაც შედგენილი აქვთ სპეციალური სამუშაო გეგმები. უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შორის მუშაობის საკითხები იშვიათად, მაგრამ მაინც პოულობს გამოხატულებას განათლების განყოფილებების კვარტალურ სამუშაო გეგმებში. გაშვილებულ, პატრონირებულ და მეურვეობაში მყოფ ბავშვებსა და მოზარდებზე შედგენილია პირადი საქმეები ყველა საჭირო საბუთით და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა გაშვილების, პატრონირებისა და მეურვეობის საქმეში შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებებს გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებები.

განათლების განყოფილებებს არ გააჩნიათ საბავშვო ბაღებიდან, სკოლებიდან, სკოლა-ინტერნატებიდან, საბავშვო სახლებიდან უდედ-

მამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა შესახებ დაზუსტებული მასალები, არ ხდება წარმოდგენილი მასალების შედარება საკომლო წიგნების ჩანაწერებთან, სუსტია განათლების განყოფილებ[illegible]შირი სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან და სხვ.

ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონების განათლების განყოფილებებს შემოღებული არა აქვთ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისათვის დაწესებული სპეციალური საღრიცხვო ჟურნალი, რომელიც ინსტრუქციის შესაბამისად მუდმივად უნდა ინახებოდეს განათლების განყოფილებებში. ზუსტად არ შეაქვთ აღრიცხვის მასალები ფორმა № 103-ში და ზოგჯერ დაგვიანებით ადგენენ მას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში.

განათლების განყოფილებები იშვიათად ამოწმებენ გაშვილებულ, პატრონირებულ და მეურვეობაში მყოფ ბავშვთა და მოზარდთა საყოფაცხოვრებო პირობებს, შემოწმების მასალებს არ იხილავენ რაისაბჭოს აღმასკომებისა ან სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ბ. ახვლედიანი, პ. გზირიშვილი, ვ. თამაზაშვილი).

ა) ზუსტად აღრიცხონ რაიონის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და საბავშვო ბაღებში უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და აღრიცხვის მასალები შეადარონ სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნების ანაწერებს;

ბ) ინსტრუქციის შესაბამისად შემოიღონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვისათვის დაწესებული სპეციალური ჟურნალები და შეიტანონ მათში ცალ-ცალკე პატრონირებული, გაშვილებული და მეურვეობაში მყოფი ბავშვები;

გ) გაითვალისწინონ კვარტალურ სამუშაო გეგმებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა შორის მუშაობის შესახებ საკითხების შესწავლა.

დ) პერიოდულად შეამოწმონ პატრონირებულ, გაშვილებულ და მეურვეობაში მყოფ ბავშვთა და მოზარდთა საყოფაცხოვრებო პირობები და შედეგები განსახილველად შეიტანონ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

2. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ზუსტად დაიცვან შვილად აყვანის დადგენილი წესი და ბავშვთა სახლებიდან და სკოლა-ინტერნატებიდან აღსაზრდელთა გაშვილება აწარმოონ მხოლოდ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე;

ბ) ზუსტად შეავსონ და 1972 წლის 15 თებერვლამდე წარმოადგინონ განათლების სამინისტროში ფორმა № 103 — ანგარიში მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის შესახებ.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას;

ბ) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად დროულად უზრუნველყოს ფორმა 103-ის მიღება, დაჯამება და სსრ კავშირის განათლების სამინისტროში წარდგენა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 4 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

**თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 18 თებერვლის ბრძანება №81

### თბილისის მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსა და მხატვრული აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს „ქ. თბილისის მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ აღვნიშნავ, რომ მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი ტივს გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული, ამასთან სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში შეინიშნება რიგი ნაკლოვანებანი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსა და ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი „თბილისის მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ გადაეგზავნოს სკოლა-ინტერნატს.

2. დაევალოს სკოლა-ინტერნატის დირექციას (ამხ. თ. სახელაშვილი):

ა) აღნიშნული მოხსენიბითი ბარათი განიხილოს პედაგოგიური საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი შემოწმების შედეგად გამოვლინებულ ნაკლოვანებათა უახლოეს მომავალში აღმოსაფხვრელად;

ბ) სისტემატურად იზრუნოს სკოლა-ინტერნატის სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, დაუყოვნებლივ გამოყოს სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის საჭირო ოთახები;

გ) 1972 წლის მაისის დამლევამდე უზრუნველყოს დებიტორული დავალიანების მთლიანად დაფარვა.

3. სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების სასწავლო მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. მ. ყოლბაია) ესთეტიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტთან ერთად 1972 წლის 1-ელ მაისამდე განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინოს თბილისის მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო გეგმა.

4. ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ჯ. მუჯირი):

ა) გააძლიეროს მეთოდური ხელმძღვანელობა მუსიკალური სკოლა-ინტერნატის მუსიკის მასწავლებლებისადმი;

ბ) 1972 წლის 1-ელ აგვისტომდე განათლების სამინისტროს კოლეგიამ განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინოს შესაბამის სამმართველო-განყოფილებებთან შეთანხმებული პროგრამები სპეციალურ საგნებში.

5. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ მუსიკალური სკოლა-ინტერნატის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად განათლების სამინისტროს მიერ 1971 წლის 10 დეკემბერს დაშვებულ იქნა ბრძანება № 747.

6. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) მეთვალყურეობა დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე;

ბ) სკოლა-ინტერნატის დირექციასა და მეთოდურ კაბინეტებთან ერთად შეიმუშაოს ინტერნატისათვის ყველაზე ხელსაყრელი დღის რეჟიმის პროექტი.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 4 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი — თ. ლაშქარაშვილი

ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 29 თებერვლის ბრძანება № 94

### სანატორიული სკოლა-ინტერნატების მუშაობაში არსებული ზოგიერთი ნაკლოვანების თაობაზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1971 წლის 7 ოქტომბრის მითითებათა შესრულების შესახებ

სანატორიული სკოლა-ინტერნატების მუშაობისა და მოსწავლეებით სწორად დაკომპლექტების საკითხების შემოწმებამ ცხადყო, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში ერთგვარად გაუმჯობესდა მცირე და ჩამცხრალი ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა სანატორიული მომსახურება.

1971—1972 სასწავლო წლისათვის 5 სანატორიულ სკოლა-ინტერნატში (ახალდაბის დირექტორი ამხ. გ. ზედგენიძე, ტაშისკარის — დირექტორი ამხ. ნ. გრიგალაშვილი, გორდის — დირექტორი ამხ. დ. უგულავა, სალხინოს— დირექტორი ამხ. ვ. ახვლედიანი, წალენჯიხის — დირექტორი ამხ. გ. ლუკავა) 1250 ბავშვ-ადგილზე ჩარიცხულია 1256 აღსაზრდელი. ყველა სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოფილია სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზით, რბილი და მაგარი ინვენტარით, საექიმო კაბინეტებითა და საჭირო მედიკამენტებით; სავსებით დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ამ ინტერნატებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და აღსაზრდელთა კვების ორგანიზაცია; ძირითადად სწორად წარმოებს სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებით დაკომპლექტება და სხვ.

რესპუბლიკის სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში ყველა პირობებია შექმნილი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, სანატორიული სკოლა-ინტერნატების საქმიანობაში შეინიშნება რიგი ნაკლოვანებანი. ამ სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებით დაკომპლექტების საქმეში ადგილი აქვს სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1961 წლის 21 სექტემბრის, საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების 1962 წლის 20/15 თებერვლის ერთობლივი მითითებებით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში ჩარიცხულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან 153 აღსაზრდელი, ძირითადად სალხინოსა და გორდის სკოლა-ინტერნატებიდან, ჩარიცხულია დიაგნოზით, რომელიც გათვალისწინებული არ არის ხსენებული დებულებით.

სკოლა-ინტერნატებში 15 აღსაზრდელი ჩარიცხულია ყოველგვარი საექიმო კომისიის მომართვის გარეშე, მათ შორის ტაშისკარის სანატორიულ სკოლა-ინტერნატში 7 მოსწავლე, გორდის სანატორიულ — სკოლა-ინტერნაშტი — 6 და სალხინოს სანატორიულ სკოლა-ინტერნატში—2 აღსაზრდელი.

ტუბდისპანსერების მომართვების საფუძველზე ახალდაბის სანატორიულ სკოლა-ინტერნატში ჩარიცხულია მოსწავლეთა 100%, ხოლო ტაშისკარის სკოლა-ინტერნატში 95%. მაგრამ დანარჩენ სკოლა-ინტერნატებში ეს პროცენტი მეტად დაბალია: გორდში ეს მონაცემები შეადგენს 14.5%-ს, სალხინოში—4.8%-ს, წალენჯიხაში—2%-ს აღნიშნული სანატორიული სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი ჩარიცხეს საექიმო უბნებისა და ბავშვთა პოლიკლინიკების მომართვების საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება დებულებას.

ხშირად ირღვევა სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში დადგენილი აღსაზრდელების ყოფნის 1 სასწავლო წლის ვადა, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ სამედიცინო მაჩვენებლების მონაცემებისა და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების საფუძველზე.

სანატორიული სკოლა-ინტერნატების საქმიანობაში უნდა ამაღლდეს სამედიცინო პერსონალის როლი და პასუხისმგებლობა, ამასთან მოგვარდეს სპეციფიკური დიფერენციული ქიმიოთერაპიისა და ქიმიოპროფილაქტიკის საქმე.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1971 წლის 7 ოქტომბრის მითითებათა ცხოვრებაში განხორციელების, სანატორიული სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის გაუმჯობესების, მოსწავლეებით სწორად დაკომპლექტებისა და მაღალკვალიფიციური სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სანატორიული სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) უახლოეს მომავალში პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განიხილონ აღნიშნული ბრძანება და დასახონ საქმიანი ღონისძიე-

ბანი მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ბ) სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებით დაკომპლექტებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1961 წლის 21 სექტემბრის, საქართველოს სსრ განათლებისა და საქართველო სსრ ჯანდაცვის სამინისტროების 1962 წლის 20/15 თებერვლის ერთობლივი მითითებებით დადგენილი წესით;

გ) არ დაუშვან სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში საექიმო კომისიის დასკვნის გარეშე და გაუთვალისწინებელი დიაგნოზით გამოგზავნილ მოსწავლეთა ჩარიცხვის არც ერთი შემთხვევა;

დ) 2 წლის ზევით სკოლა-სანატორიუმში აღსაზრდელების დატოვება დაუშვან მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში სამედიცინო ჩვენებისა და საყოფაცხოვრებო მონაცემების საფუძველზე.

2. სანატორიული სკოლა-ინტერნატების ექიმებმა:

ა) მეტი ყურადღება მიაქციონ სკოლა-ინტერნატებში სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს;

ბ) მკაცრი კონტროლი დააწესონ დებულებების მიხედვით დადგენილი წესის შესაბამისად სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა ჩარიცხვაზე.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა მეტი მუშაობა ჩაატარონ გადამრჩევ კომისიებთან ერთად სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა კონტინგენტის შესარჩევად და დროულად გასაგზავნად.

4. სანატორიულ სკოლა-ინტერნატებზე ქალაქებისა და რაიონების მიმაგრების წარმოდგენილი განაწილება დამტკიცდეს (განაწილება თან ერთვის ბრძანებას).

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. ვ. ბოჭორიშვილი):

ა) ქალაქებისა და რაიონების ტუბდისპანსერების მეშვეობით ერთხელ კიდევ დაზუსტდეს სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში გასაგზავნ ბავშვთა კონტინგენტი;

ბ) ჯანდაცვის ადგილობრივმა ორგანოებმა არ დაუშვან ღრმა სამედიცინო შემოწმებისა და საკურორტო გადამრჩევი კომისიების დასკვნის გარეშე სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა გაგზავნა;

გ) გაითვალისწინოს 1972 წელს სანატორიული და სატყეო სკოლა-ინტერნატების ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 10-დღიანი სემინარის მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) განახორციელოს სისტემატური კონტროლი და დახმარება სანატორიულ სკოლა-ინტერნატებზე;

ბ) ა/წლის მარტის თვეში შეამოწმოს პატარა ცემისა და ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმების მოსწავლეებით დაკომპლექტება და საკითხი შემოიტანოს კოლეგიაზე განსახილველად;

გ) 1972 წლის 1-ელ აპრილამდე დააზუსტოს სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში ექიმების ვაკანტური ადგილების რაოდენობა და მოამზადოს წერილი ექიმების გამოყოფის შესახებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 24 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგი-ის 1971 წლის 3 დეკემბრის დადგენილება

### საგუნდო პიონერული სიმღერების კონკურსის შესახებ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის წინადადება ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავთან დაკავშირებით პიონერული სიმღერების რესპუბლიკური კონკურსის გამოცხადების შესახებ.

2. საგუნდო პიონერული სიმღერების კონკურსის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

საქართველოს ალკკ ცკ
პირველი მდივანი
ჯ. პატიაშვილი

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავთან დაკავშირებით პიონერული სიმღერების რესპუბლიკური კონკურსის დებულება

კონკურსი ეძღვნება ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავს.

ნაწარმოები უნდა ასახავდეს პიონერთა ცხოვრებას, რომანტიკას, მათ სწავლასა და შრომას, დასვენებასა და გართობას, ტურისტულ ლაშქრობებსა და ნორჩ არმიელთა მონაწილეობას „ციკრის“ სამხედრო-სპორტულ თამაშებში, ჩვენი ქვეყნის პიონერთა მეგობრობას და მსოფლიოს ბავშვებისადმი სოლიდარობას.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

სამი პირველი პრემია — თითოეული 250 მანეთის ოდენობით

სამი მეორე პრემია — თითოეული 175 მანეთის ოდენობით

სამი მესამე პრემია — თითოეული 100 მანეთის ოდენობით.

ტექსტის ავტორებისათვის

სამი პირველი პრემია — 125 მანეთი

სამი მეორე პრემია — 85 მანეთი

სამი მესამე პრემია — 50 მანეთი

ნაწარმოების წარმოდგენის ვადაა 1972 წლის 1 მარტი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტში (დადიანის ქ. № 11).

ნაწარმოები წარმოდგენილი უნდა იქნეს დევიზით (დალუქულ კონვერტში ავტორის ვინაობისა და მისამართის აღნიშვნით, ხოლო კონვერტზე და ნაწარმოებზე დევიზის წარწერით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. დადგენილება — 1970 — 1971 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 24 — საქართველოს სსრ სახალხო განათლების დაწესებულებებში სახელმწიფო ფინანსიური დისციპლინის უხეში დარღვევების შესახებ . . . . . . . . 6
3. ცირკულარული წერილი № 1/69 — მოსწავლეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების დროს მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ . . . . . . . . 10
4. Циркулярное письмо № 1/69 — О несчастных случаях со смертельным исходом со школьниками при выполнении ими работ в сельском хозяйстве . . . . . . . . 20
5. Приказ № 30 — О состоянии преподавания по новым программам русского языка и литературы в пятых классах школ г. г. Тбилиси, Батуми и Кобулетского района . . 29
6. ბრძანება № 41 — ქ. თბილისის, ქუთაისის, გორის, აჭარის ასსრ, ყვარლის და გორის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . 34
7. ბრძანება № 49 — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის თაობაზე . . 46
8. ბრძანება № 57 — ქ. ფოთის, ლაგოდეხისა და წალკის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX და X კლასებში ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 53
9. ბრძნება № 64 — ქ. გორის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 62
10. ბრძანება № 74 — ქ. თბილისისა და გურჯაანის, ცხაკაიასა და წყალტუბოს რაიონების ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IV კლასებში ახალი პროგრამით მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . 66

11. ბრძანება № 80 — ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა გაშვილების, პატრონირებისა და მეურვეობის მდგომარეობის შესახებ . . . 69
12. ბრძანება № 81 — თბილისის მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 72
13. ბრძანება № 94 — სანატორიული სკოლა-ინტერნატების მუშაობაში არსებული ზოგიერთი ნაკლოვანების თაობაზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1971 წლის 7 ოქტომბრის მითითებათა შესრულების შესახებ . . . . . . . 74
14. დადგენილება — საგუნდო პიონერული სიმღერების კონკურსის შესახებ . . . . . . . . 78

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

**ფასი 14 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VI-72 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5

შეკვ. № 392. უე—05461 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19